გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 71
(11 833)

7 – 9 სექტემბერი, 2004 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიმართვა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, ვეტერანი და მოქმედი მოჭიდავეები დიდად აღგვაშფოთა ქ. ბესლანში მომხდარმა ვანდალურმა, ტერორისტულმა აქტმა, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული, უჭირს მოსახლეობას, უჭირთ სკოლის მოსწავლეებს, რომლებსაც პირველი სექტემბერი საზეიმო ვითარებაში უნდა აღენიშნათ. აგრესიულმა სეპარატისტებმა ზეიმის ნაცვლად მათი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს, ბევრი მათგანი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა.

ვგმობთ რა ამ ბარბაროსულ აქტს, ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებსა და მათს ახლობლებს, ამასთანავე, ამ მძიმე დღეებში, გიცხადებთ მხარდაჭერასა და სოლიდარობას, ტერორისტებს კი — არანაირი დანდობა. ბესლანში მომხდარი ვანდალური აქტი გაკვეთილად უნდა იქცეს კაცობრიობისთვის, ყველა ქვეყანამ ხმა უნდა აიმაღლოს ამ საშინელი და დამღუპველი სენის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ ვუცხადებთ სამძიმარს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მოსახლეობას. გვიგულეთ თქვენს გვერდით!

ღრმა პატივისცემით,

გოჩა ძასოხოვი — პრეზიდენტი, **დავით ციმაკურიძე** — ოლიმპიური ჩემპიონი, **ვახტანგ ბალავაძე** — ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, **გიორგი სხირტლაძე** — მსოფლიო ჩემპიონი, **გურამ სადარაძე** — ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, **ზარბეგ ბერიაშვილი** — მსოფლიო ჩემპიონი, **რომან რურუა** — ოლიმპიური ჩემპიონი, **ლევან თედიაშვილი** — ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებული, **ვახტანგ ბლაგიძე** — ოლიმპიური ჩემპიონი, **ელდარ კურტანიძე** — ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, **გივი ყვარელაშვილი** — მსოფლიო თასის მფლობელი, **მიხეილ სალაძე** — მსოფლიო ჩემპიონი, **თემურ ყაზარაშვილი** — მსოფლიო ჩემპიონი, **თემურ აფხაზავა** — ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, **დავით გობეჯიშვილი** — ოლიმპიური ჩემპიონი, **ლერი ხაბელოვი** — ოლიმპიური ჩემპიონი, **ბეგი დარჩია** — საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ბ/რ ჭიდაობაში, **ზაზა თურმანიძე** — საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი თ/ჭიდაობაში, **ომზარ შოშიტაშვილი** — გენერალური მდივანი.

გიორგი ასანიძე მშობლიურ საჩხერეს ეწვია

სპორტული გმირობა განსაკუთრებით დასაფასებელ გმირობათა ნუსხაში ერთ-ერთი თვალსაჩინოა. ამიტომ არის, რომ ხალხი, რომლის წიაღში სპორტსმენი აღიზარდა, და ქვეყანა ღირსეულ პატივს მიაგებს სპორტულ სარბიელზე განსაკუთრებული მიღწევით თავგამოჩენილ თავის ათლეტს. ოლიმპიური ჩემპიონობა თავისთავადაა დიდი გმირობა, მაგრამ ეს მიღწევა განსაკუთრებით დასაფასებელია, როცა სპორტსმენი მთელ თავის შესაძლებლობებს პატრიოტიზმს, სპორტული პაექრობის უმაღლეს ხელოვნებას ჩააქსოვს გამარჯვებაში. სწორედ ასეთი იყო ათენში, 28-ე ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ქვეყნის საამაყო რაინდის გიორგი ასანიძის გამარჯვება ძალოსანთა ოლიმპიურ ტურნირში.

გიორგი ასანიძე საჩხერიდანაა. ამიტომ, ბუნებრივია, გმირ ოლიმპიელს მშობლიურ რაიონში ასე მღელვარედ მოელოდა იქაური მოსახლეობა. ეს იყო ჭეშმარიტად გრანდიოზული საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევდა საერთო-სახალხო სიხარული და სიამაყე, იყო გაუთავებელი მილოცვები, გმირის გულში ჩახუტება, გულისამაჩუყებელი გამოსვლები. ამ ღონისძიებას მუხტი იმანაც შემატა, რომ საჩხერეს გიორგი ასანიძესთან ერთად ეწვივნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, სფფის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, პარლამენტარები გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე, ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. თავისი სტუდენტი დააფასა და საჩხერეში ჩავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

მორაგბეებმა ეროვნული ჩემპიონატი დაიწყეს

კვირას, 4 სექტემბერს დაიწყო მორაგბეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. პირველი ტურის პირველ მატჩში ვარკეთილის განახლებულ მოედანზე ერთმანეთს დაუპირისპირდა „ყოჩები" და „ლელო". საერთო შთაბეჭდილებით თუ ვიმსჯელებთ, პრობლემები ორივე გუნდს გააჩნია, მაგრამ უფრო მეტი, როგორც ჩანს, „ლელოს", რადგან მათ მატჩი არცთუ დიდი ანგარიშით, მაგრამ მაინც დათმეს — 20:23. უნდა აღინიშნოს, რომ ლელოელებმა არაერთხელ იგდეს ხელთ ინიციატივა, მაგრამ თავიდანვე დაწინაურებულ „ყოჩებს" ბოლომდე სასურველად ვერ გაუმკლავდნენ.

პრობლემებიდან თავდახსნილი ჩემპიონატს ვერც ბათუმის **„დათვები"** შეხვდა. „საკუთარმა კედლებმა", ცხადია, ისინი აიძულა მთელი ძალისხმევით შებრძოლებოდნენ მეტოქეს, საწადელს კი მაინც ვერ მიაღწიეს და მატჩი სტუმრებმა — **„აკადემიის"** მორაგბეებმა მოიგეს 15:11.

ნომერში:

- სპორტსკოლა და მისი ბედი
- კიდევ ერთი „ოქრო" ათენიდან
- ნაკრები იმედიანად იწყებს
- კაჩალინი და მისი რაინდები
- ერიქსონს ემუქრებიან...
- სასჯელი სტრიპტიზისათვის
- ანა ჩაკვეტაძეს საქართველო არ უნახავს
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი





მილოცვა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეთა თემის ღირსეულ წარმომადგენელს თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს შვიდგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ჩემპიონს და მრავალგზის პრიზიორს, პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის სამგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორს, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს, მსოფლიო თასის მფლობელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს, ბრწყინვალე პიროვნებას **გივი ყვარელაშვილს.**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო თასი.

ვიქნებით ღირსეული მასპინძლები?

საქმე ბევრია, დრო — ცოტა!

ხომ არ გადავეჩვიეთ დიდი მასშტაბის და ავტორიტეტული სპორტული შეჯიბრებების მაღალ და ორგანიზაციულად საჩინო დონეზე ჩატარებას? პასუხს ამ კითხვაზე გასცემს ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელსაც თბილისის სპორტის სასახლემ უნდა უმასპინძლოს სულ რაღაც თვენახევარში, 23-24 ოქტომბერს. ჩვენს დედაქალაქს და მის სპორტის სასახლეს არაერთი მაღალი დონის ტურნირისთვის უმასპინძლია წარმატებით, მაგრამ ეს მეტწილად იყო ადრე. მერე მოთხოვნები გაიზარდა, როგორც წმინდა ტექნიკური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. ბარემ აქვე ისიც ვთქვათ, რომ ნამდვილად დიდი პატივი იყო ზემოხსენებული ასპარეზობის მასპინძლობა ფილამ ჩვენ რომ გვარგუნა. ამაში უდავოდ დიდია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის პირადი დამსახურება. მართალია, ტურნირი თბილისში ტარდება, მაგრამ იგი, საერთოდ, ქვეყნის, და არა მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების ან სპორტული ბაზის ხელმძღვანელების საზრუნავია.

როგორი მდგომარეობაა დღეს სპორტის სასახლეში? ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებმა და ვეტერანმა ფალავნებმა გადაწყვიტეს ადგილზე, საკუთარი თვალით ენახათ ყველაფერი და მოსაგვარებელ საკითხებთან დაკავშირებით მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

„დღესდღეობით თბილისის სპორტის სასახლეში მდგომარეობა ნამდვილად არასახარბიელოა. მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია შეიქმნას სამთავრობო კომისია. შესაბამისი მოთხოვნით წერილს მივწერთ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს. უკვე ცნობილია, რომ ტურნირის წინა დღეს აწონვა, ფინური აბანოს არარსებობის გამო, მოხდება არა სპორტის სასახლეში, არამედ თბილისის მერიის ლ. თედიაშვილის სახელობის დილმის მასივის საჭიდაო კომპლექში" — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა.

რედაქციისაგან: „ლელო" სისტემატურად მიადევნებს თვალყურს ტურნირისათვის მზადების მიმდინარეობას და შედეგებს ყოველ სამშაბათს აცნობებს ფართო საზოგადოებრიობას.

SOS **4 მარტს დაგეგმილი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა" და ქუთაისის „აიას" შორის არ შედგა. მიზეზი „არ ახალია" — ქუთათურებს თბილისში გამოსამგზავრებელი თანხა არავინ შეაწია. თავიანთი გასაჭირის თაობაზე ინფორმაცია „აიას" ხელმძღვანელობამ დროზე აფრინა რაგბის კავშირში, ამიტომ შესაძლებელია, ქუთაისელებს დამარცხება არ ჩაეთვალოს და მატჩი სხვა დროს გაიმართოს. ვნახოთ! მაგრამ როდემდე, რას ფიქრობთ ქუთაისის სპორტისა და სპორტკლუბ „აიას" მესვეურებო?**

საქართველო – ალბანეთი

ეროვნული ნაკრებები

დაივიწყეთ ძველი, იფიქრეთ ახალზე

თურქული სახადი მოხდილია. წინ ალბანეთია. ტრაბზონიდან დაბრუნებული ქართული ლაშქრის თავკაცი სასტუმრო „ბატესტაში" ჟურნალისტებს შეხვდა და განვლილ ბატალიებზე დაუძაბავად ილაპარაკა.

„თურქეთში მიღწეულმა დადებითმა შედეგმა არ უნდა დაგვამშვიდოს. ალბანელებმა ევროპის ჩემპიონები დაჯაბნეს და ოთხშაბათს სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს. მეტოქე გულმოცემულია და თბილისშიც მოგებაზე ითამაშებს. თუმცა, მშვიდად იყავით, შევეცდებით ხვალინდელ მატჩშიც წარმატებას მივაღწიოთ" — თქვა ჟირესმა. თურქებთან შეხვედრაში დაშავდა ხიზანიშვილი, მას ტვინის შერყევა დაუდგინეს და ალბათ ალბანეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. თუმცა, მომჯობინდნენ კობიაშვილი და იაშვილი. გუნდი მატჩამდე დილმის ბაზაზე ივარჯიშებს.

ალბანელები თბილისში კვირას ჩამოვიდნენ და სასტუმრო „მარიოტში" დაბინავდნენ. სტუმრების მთავარ მწვრთნელს ჰანს-პეტერ ბრიგელს შარშანდელი სამბურთიანი თბილისური მატჩი მწარედ ახსოვს და რევანში სწყურია. თუმცა, საკმაოდ ფრთხილობს და შეგირდები გააფრთხილა ქიდეს, „დაივიწყეთ საბერძნეთი, იფიქრეთ საქართველოზე". **ალბანელებმა ბერძნებს ამ შემადგენლობით სძლიეს:** სტრაკოშა, ბექირი, კანა, ალიაი, ჰასი, დურო, ლალა, შკელა, მურატი, ტარე, მურტაი (დრაგუშა). ადრიან ალიაი გუნდის ნამდვილი ლიდერია და თითქმის ყველა მატჩში გოლი გააქვს და ბერძნებთანაც გამოიჩინა თავი საჯარიმო დარტყმით.

აქვე გთავაზობთ სტუმრების ახალგაზრდული ნაკრების სათბილისო შემადგენლობას.

ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრები: ალფრედ ოსმანი, ერალდ გიონედა, ალბან მუსა, არმენდ დალკუ, ტეფიკ ოსმანი, რახმან ალაჩი, ედლირ ტეტოვა, კრისტი ვანგელი, პავლი ვანგელი, ჰეტლენ ჩაპია, ჰამდი სალიჰი, ოლსი ლაკაი, ემილიანო ბარკა, გიერგი მუზაკა, პარიდ ქსიჰანი, ბესმირ ბეგა, ალბან ბიზუტი, დენის ბოშნიაკუ, სოკოლ კაჩანი, კლოდიან ბაიაზიტი, ანდი ლილა, მარინგლენ კულე, ერვინ ლანი, დანიელ ჰაქსიუ, დენის მემა, ედუარდ მიკო.

მწვრთნელი ჰასან ლიკა.

რედაქტორის სვეტი

გამარჯვებული სტრუქტურა

ახლა, როცა 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები უკვე განვლილი ეტაპია და სამომავლო გეგმებზე დაუყოვნებლივი ფიქრი, განსჯა და ზრუნვა გვმართებს, კვლავ დღის წესრიგში დგება ქართული სპორტის სახელმწიფო სისტემაში ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხი.

კულტურის სამინისტროსთან სპორტის შერწყმამ დიდი დადებითი შედეგი გამოილო თუ არა, ჯერ ამას ვერ ვიტყვით, დროა საჭირო. სამაგიეროდ, ერთი რამ ცხადია: სპორტის სახელმწიფო სტრუქტურამ – დეპარტამენტმა ნამდვილად გაამართლა და ის წარმატებები, რასაც ჩვენ ათენში ოლიმპიადაზე მივაღწიეთ, ამ სტრუქტურული სწორი კურსის შედეგიც იყო. უდავოდ მისასალმებელია, რომ რეორგანიზაციის პროცესმა საერთო ინტერესები არ შეიწირა და დაჟინებით არ დადგა სპორტის ცალსახად კულტურის სამინისტროსთან შერწყმის საკითხი. თუ რა დადებითი შედეგი მოიტანა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის შენარჩუნებამ, ყველამ კარგად დაინახა, ოლიმპიადის შედეგებზე უკეთესი დასტური რაღა უნდა იყოს. უთუოდ სამაგალითოდ დარჩება ის თავდადებული გარჯა, რაც დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, მისმა მოადგილეებმა ლერი ხაბელოვმა და დავით გობეჯიშვილმა გასწიეს სეოკ-ის გენერალურ მდივანთან ემზარ ზენაიშვილთან ერთად ოლიმპიადის დღეებში ათენში. არ ვიცით, ეს საკითხი განსასჯელად ისევ წამოიწევს თუ არა, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის შენარჩუნება, თუნდაც კულტურის სამინისტროს სისტემაში, ახლა მაინც, ზედმიწევნით აუცილებელია. საზოგადოებრივი აზრიც ასეთია. ჩვენ არ ვიცით, რა და როგორ, მაგრამ დღეს ალბათ ლაპარაკი მხოლოდ დეპარტამენტის შენარჩუნებაზე კი არა, მისი უფლებების გაფართოებასა და ფინანსური უზრუნველყოფის იურიდიული საფუძვლების შექმნაზე უნდა იყოს. ასეთია ჩვენი მოსაზრება.

ფოტო – არქივიდან...



1951 წელი. თბილისი. პეტრეს დარბაზი. მარცხნიდან – დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია, ვასილ ილურიძე.

გაზეთის დაბეჭდვამდე:

◆ 33 წლისა ლეიკემიით გარდაიცვალა იტალიის საკალათბურთო კლუბ „სკავოლინის" ამერიკელი ლეგიონერი ალფონო ფორდი. ბოლო ხანებში ის აშშ-ში მკურნალობდა, გადიოდა ქიმიური თერაპიის კურსს. ევროლიგის გენერალური დირექტორის ჟორდ ბერტომეუს თქმით, ეს არის საკალათბურთო სამყაროს უდიდესი დანაკლისი. ფორდი ევროპაში 1997 წლიდან თამაშობდა, წარმატებით იცავდა ბერძნული კლუბების „პერისტერისა" და „ოლიმპიაკოსის" ღირსებას, აგრეთვე იტალიის „მონტეპასკისა" და „სკავოლინის" შემადგენლობაშიც თამაშობდა.

ფორდის ავადმყოფობის შესახებ ექიმებმა კალათბურთელის სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე შეიტყვეს. აგვისტოს ბოლოს ფორდმა კალათბურთი მიატოვა.

◆ **აშშ-ის ჰოკეისტთა ნაკრების თავდამსხმელმა 40 წლის ბრეტ ჰალმა ვარჯიში თანაგუნდელებზე 10 წუთით ადრე მიატოვა. მისი უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ვარჯიშის დროს მოედანზე გამოჩნდნენ ის სათადარიგო მოთამაშეები, რომლებიც მსოფლიო თასის გათამაშების უახლოეს მატჩებში არ ითამაშებენ.**

◆ ნჰლ-ის კლუბ „ნიუ-იორკ აილენდერსის" მცველი იანე ნინიმა, რომელიც ფინეთის ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდა მსოფლიო თასის გათამაშებაში, მეოთხედფინალური მატჩის წინ წაეკამათა ეროვნული გუნდის მწვრთნელს — რაიმო სუმანენს. ამის შედეგად ნინიმამ ფინეთის ნაკრები მიატოვა.

სპორტი და საბაზრო ეკონომიკა

რა შუაშია ღია საზოგადოება?

აურზაური თბილისის მერიის წყალთა სახეობების ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის გამო

საბჭოთა კავშირის დაშლიდან თუმცა საკმაო დრო გავიდა, ბევრის შეგნებაში დიდად არაფერი შეცვლილა. არადა, ძველებურად აღარც ცხოვრება შეიძლება და აღარც აზროვნება. საბაზრო ეკონომიკა თავის წესს და რიგს მოითხოვს და ამკვიდრებს კიდეც, თუმცა, მავანნი ძველი გზიდან გადახვევას უზნეობა-უსამართლობად მიიჩნევენ.

ვილაპარაკოთ კონკრეტულად და კონკრეტულ ფაქტზე. სააქციო საზოგადოება საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერე“ (იგივე ძველი საცურაო აუზი თბილისში, სანაპიროზე), იურიდიულად კერძო სტრუქტურაა. დღეს ყველამ უნდა იცოდეს ეს რას ნიშნავს, მაგრამ, ვისაც ამ კომპლექსთან აქვს საქმე, გარკვეული პრეტენზიებიც გააჩნია. „ლაგუნა-ვერეზე“ ოსტატდებიან ის ჭაბუკი წყალბურთელები, რომლებიც სასწაულებს ახდენენ უცხო ქვეყნების პირველობებზე და ცალკეულ ტურნირებში. ყველა ისინი, ისევე როგორც მოზარდი მოცურავეები, წყალში მხტომელები და სინქრონული ცურვის მიმდევრები, თბილისის მერიის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის აღსაზრდელები არიან. სკოლა „ლაგუნა-ვერეზე“ ფუნქციონირებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კომპლექსის დირექციამ მათ უფასოდ მოემსახუროს. სკოლის შენახვა დაახლოებით 800-900 ათასი ლარი ჯდება წელიწადში, რომლის ყველაზე სოლიდური ნაწილი კომუნალურ ხარჯებზე მოდის. ფაქტობრივად, მერიამ ადრე მხოლოდ ორჯერ გამოყო ხსენებული თანხის მეოთხედზე ნაკლები, დანარჩენი კი ვალად დააწვა კომპლექსს. სავსებით ბუნებრივია, რომ სკოლამ წლეულსაც მოითხოვა მერიიდან დაფინანსება, რაზედაც, როგორც გვითხრეს, პასუხი დამამშვიდებელი არ იქნება და ამას აქვს თავისი ახსნა.

სიტუაციიდან გამომდინარე, ლოგიკური დასკვნის გამოტანა, ძნელი არ უნდა იყოს. გასაგებია მერიის თავშეკავებაც. მერიის განათლების განყოფილებას თავად გააჩნია საცურაო აუზი დიღმის მასივში, რომელიც ოლიმპიურ ცენტრში შედის. მართალია, კომფორტით და პირობებით იგი „ლაგუნა-ვერესთან“ ვერ მოვა, მაგრამ მაინც სპორტული ბაზაა. ამდენად, არაფერია იმაში უცნაური, მერია თავისავე სპორტულ ბაზაზე თუ გადაიყვანს ზემოხსენებულ სპორტულ სკოლას. პირიქით, ალბათ, მისასალმებელია. დაიზოგება საიჯარო თანხა და, რაც მთავარია, არც „ლაგუნა-ვერე“ ჩავარდება ამ სკოლის გამო ზედმეტ ხარჯში. საერთოდ, გადასახედია სპორტული სკოლებისა და სპორტული ბაზების საკითხი. რამდენად სამართლიანია სკოლა იწოდებოდეს სპორტულ, მით უფრო ოლიმპიური რეზერვის სკოლად, თუკი მას საკუთარი სპორტული ბაზა არ გააჩნია? ხომ ყველამ ვიცით, რომ ზოგჯერ საიჯარო თანხა იმდენს შეადგენს, ორი-სამი წლის ხარჯით, ახალი, საკუთარი სპორტული ბაზის გაშენება შეიძლება.

ჩვენი აზრით, არის ერთი გამოსავალი, სპორტული სკოლა, თუ ამაზე თანახმა იქნება თბილისის მერია, გადაკეთდეს სპორტკლუბად, რომელიც ან სპონსორის, ან თვით კლუბის წევრთა, მათ შორის, მომეცადინეთა ხარჯზე იარსებებს. სულაც არაა გამორიცხული კლუბის დამფუძნებლად თვით „ლაგუნა-ვერე“ მოგვევლინოს, მაგრამ მოისურვებს კი?

გასულ შაბათს „ლაგუნა-ვერეზე“ შეიკრიბნენ მერიის სპორტსკოლის მოსწავლეთა მშობლები, რომლებსაც კომპლექსის ადმინისტრაციამ აცნობა, რომ მას აღარ შეუძლია თითქმის უსასყიდლოდ მოემსახუროს ხსენებულ სპორტსკოლას, ამ ამბავმა, რაღა თქმა უნდა, მშობლების გულისწყრომა გამოიწვია. იყო შეტევა საწყლოსნო კომპლექსისა და სკოლის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, იყო მუქარა, რომ არავის აქვს უფლება ბავშვებს გაუუარესოს სავარჯიშო პირობები სხვაგან გადაყვანით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ღია, დემოკრატიულ საზოგადოებაში და ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მოკლედ...

ვფიქრობთ, ახლა უფრო გასაგებია და მკაფიო ამ წერილის დასაწყისი. დიახ, საბაზრო ეკონომიკას თავისი წესები აქვს და აქ ბედი მხოლოდ ალღოიან, წინდახედულ, გნებავთ, გაბედულ რეფორმატორებს სწყალობთ. თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური, ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ასეთ გზას ადგას.

თ. თომაშვილი

ამაგის დაფასება

კიდევ ერთი „ოქრო“ ათენიდან

ოლიმპიური თამაშები ათენში, საერთო აღიარებით წარმატებული გამოდგა მისი ორგანიზატორებისთვისაც, რომლებსაც მხარში ედგნენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციები. მათ შორის სოფთბოლის საერთაშორისო ფედერაცია, რომლის ვიცე-პრეზიდენტია საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, საქართველოს ბეისბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე. იგი ერთადერთია ქართული სპორტის ისტორიაში, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციაში ასეთი მაღალი პოსტი უკავია. ათენიდან დაბრუნების შემდეგ რამაზ გოგლიძემ საბერძნეთიდან მიიღო ,,ოქროს ფირფიტა'' და დიპლომი, რომელშიც ვკითხულობთ: ,,რამაზ გოგლიძეს! ნიშნად თქვენი აღიარებისა და წვლილისა XXVIII ოლიმპიური თამაშების წარმატებით ჩატარებაში გაწეული თანამშრომლობისათვის''.

დიპლომს ხელს აწერენ სოკ-ის პრეზიდენტი — შევალიე, დოქტორი **ჟაკ როგი** და 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი **ჯიანა ანგელოპოულოს** დასკალაკი.

RAMAZ GOGLIDZE

ATHENS 2004



დელფიურ თამაშებზე

კულტურა და სპორტი

საქართველოდან მალე 23 ახალგაზრდა გაემგზავრება II ახალგაზრდულ დელფიურ თამაშობებში მონაწილეობის მისაღებად, ქ. კიშინიოვში.

თამაშობები ითვალისწინებს კონკურსებს 18 ნომინაციაში. საქართველოს წარმომადგენლები გამოვლენ ფორტეპიანოს, ვიოლინოს, აკადემიური, საესტრადო და ხალხური სიმღერის, ფოტოგრაფიის, სასულე ინსტრუმენტების და სხვა ნომინაციებში.

შეგახსენებთ, რომ დელფიური თამაშები, ისევე, როგორც ოლიმპიადები, ძველი ელადიდან იღებს სათავეს.

ანა ნანუაშვილი, საქართველოს გუნდის კაპიტანი.

ლ — მატიანე

50 წლის წინათ...

თბილისი. თავისუფალ ჭიდაობაში დედაქალაქის პირველობა მოზარდთა და ჭაბუკთა შორის 108 ნორჩი სპორტსმენის მონაწილეობით ჩატარდა. მოზარდებში გამარჯვებულები გამოვიდნენ: მ. კოსოევი, ვ. შავლიაშვილი, მ. გელაშვილი, ა. ძაგანია, კ. ნადირაშვილი, დ. ერაძე. ჭაბუკებში — ზ. მჭედლიშვილი, ე. ბუტიკაშვილი, ვ. კაზარიანი, ა. გვიმრაძე, ე. რევია, დ. დავლიანიძე, ზ. მუხიაშვილი, დ. კუტალაძე.

გორი. ქალაქის პირად პირველობაში სიმძიმეების აწევაში პირველობა მოიპოვეს: რ. გოგლიძემ, ს. ლომიძემ, ნ. ზურაბიშვილმა, ა. ყიჩიძემ და მ. გრამანიშვილმა.

ბათუმი. მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაში ქალთა სკოლებს შორის გაიმარჯვეს მე-8 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. ვაჟთა სკოლებიდან უძლიერესი იყო მე-3 რუსული საშუალო სკოლა.

ბოლნისი. რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა საშუალო სკოლებს შორის მოიგო დაბა ბოლნისის სკოლამ, რვაწლიან სკოლებში გაიმარჯვეს ბოლნისისა და სოფ. აკურეთის წარმომადგენლებმა.

სიღნაღი. რაიონის 1954 წლის პირველობა ფრენბურთში ვაჟთა შორის მოიგო სიღნაღის საშუალო სკოლის გუნდმა. გოგონებში გამარჯვებული გამოვიდა სიღნაღის პედაგოგიური სასწავლებლის კოლექტივი.



ხობი

ხობში ჩატარებულ ცოტნეობის ზეიმში სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად ჩართული იყო სპორტული შეჯიბრებები.

ქართულ ჭიდაობაში გაიმართა ფალავნობა, რაიონის ფალავანი გახდა ქვემო ქალონელი მიხეილ მორგოშია, რომელმაც ფინალში თანასოფლელი მამუკა ლორჩოშვილი დაამარცხა, მესამე ადგილზე გავიდა ალუდა ხუნჯუა (საჯიჯაო).

ძალოსანთა კონკურსში, ყველას სძლია ალუდა ხუნჯუამ. მომდევნო ადგილები ხვდათ მამუკა ლორჩოშვილს და ვეფხვია გაბედავას (ქვემო ქალონი).

მკლავჭიდში ხობელებმა იმარჯვეს: პირველი იყო გიორგი ქარჩავა, მეორე — ირაკლი ჯინჯოლავა, მესამე — ლადო ოქონია.

ჭადრაკში: 1. გულად დგებუაძე (ნოჯიხევი), 2. ბადრი ლომაია (ხობი), 3. ბესიკ ნაჭყებია (ხეთა).

ქართულ ნარდში ჩემპიონი გახდა ალიოშა ფირცხალავა (ხობი), 2. ველოდ ჩიტაია, 3. ირაკლი ჯგერენაია.

ანზორ სანიკიძე,
ხობის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული მუშაკი.

ახალგორი

ახალგორში გაიმართა სამბოში სპორტის ოსტატის, **გიორგი ხერკელაძის** მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომლის სულისჩამდგმელი იყო ახალგორის გამგებელი **ზურაბ ფიცხელაური.**

ამ ტურნირის მთავარი პრიზი — ჭედილა დაიმსახურა საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა ახალგორელმა **გიორგი ფიცხელაურმა** (80 კგ).

დანარჩენ წონით კატეგორიებში კი პირველი ადგილები მოიპოვეს: თორნიკე ბალხამიშვილმა (ახალგორი), ვასილ ზაალიშვილმა (გორი), ზურაბ დათუნაშვილმა (ახალგორი), საბა ფიცხელაურმა (ახალგორი), დავით ოსიაშვილმა (წილკანი), გიორგი წიკლაურმა (ძალისი), ჯაბა ჯალაბაძემ (გორი), დიმიტრი ჰინჭარაშვილმა (გალავანი), ზვიად ბაზანდარაშვილმა (გორი), ზურაბ და მირიან პავლიაშვილებმა (ძალისი).

ქართული ჭიდაობის უახლოესი ზეიმი ქსნის ხეობაში პირველ ოქტომბერს ,,ახალგორობის'' სახალხო დღესასწაულის დროს გაიმართება.

ბ. გაბოძე.

საქართველოს ოლიმპიური უღელტეხილი

ეს ჩვენი ისტორიაა

იმედის გამონათება

2000 წლის სპორტული შედეგები ტრადიციულად სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვითაც შეჯამდა. წლის რჩეულ 10 სპორტსმენს შორის, ბუნებრივია, აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში თავგამოჩენილი ათლეტები.

№1 სპორტსმენად ძალოსანი გიორგი ასანიძე (სურათზე) დასახელდა, რომელმაც 380 ქულა დაიმსახურა რეფერენდუმში. შემდეგ კი ადგილები განაწილდა ასე: გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო) — 292, აკაკი ჩაჩუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 284, ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — 274, მუხრან ვახტანგაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 227, ვლადიმერ ჭანტურია (კრივი) — 202, ემზარ ბედინეიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — 116, კახი კალაძე (ფეხბურთი) — 87, ლევან კობიაშვილი (ფეხბურთი) — 83, ნინო ხურციძე (ჭადრაკი) — 79.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ და ჩვენმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, შეთანხმებულად, კოორდინირებულად დაიწყს მზადება მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის. გაზეთი ,,ლელო'' ყველა ნომერში შეახსენებდა მკითხველს თუ რამდენი დრო რჩებოდა ათენში ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე. საზოგადოებრიობის ყურადღების გამახვილება მომავალი ოლიმპიადის მიმართ, როცა 27-ე თამაშები ესესაა დამთავრდა, ნაჩქარევი სულაც არ იყო. სრული ოთხი წელიწადიც კი არასაკმარისია ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად. ეს სპეციალისტებმა იციან ყველაზე უკეთ.

ამავდროულად უყურადღებოდ არც ზამთრის ოლიმპიადა დარჩენილა. ნაგანო სრული გაქანებით ემზადებოდა 2002 წლის ზამთრის თამაშებისთვის. ქვეყნები, სადაც სპორტის ზამთრის სახეობებია განვითარებული, სახსრებს არ ზოგავდნენ ნაგანოში წარმატებით ასპარეზობის უზრუნველსაყოფად. გოგი თოფაძე, როგორც ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის დეპარტამენტი და სეოკ-ი, თავიანთ შესაძლებლობებს არ ზოგავდნენ. საქართველოს აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა ზამთრის ოლიმპიადაში. რაკი შინ მომზადების პირობები არ იყო, ჩვენი ოლიმპიელები წვრთნას კვლავ უცხოეთის ბაზებზე აგრძელებდნენ. 2000 წლის დეკემბერში საქართველოს პირველმა ოლიმპიელმა ქალმა სპორტის ზამთრის სახეობებში სოფიკო ახმეტელმა, იტალიის სამთო კურორტ სანტვიჯილიოში ფეხი მოიტეხა. გადაიტანა ორი რთული ოპერაცია, მაგრამ რამდენიმე თვეში მაინც მოახერხა დადგომა თხილამურებზე.

ახალი საუკუნის სპორტული მიღწევების ათვლა ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო ტაშკენტის ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში მოპოვებული წარმატებით. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა ტაშკენტში 9 მედალი დაისაკუთრეს, აქედან 5 — თავისუფალ ჭიდაობაში. დავით ლექავა, რევაზ მინდორაშვილი, ელდარ კურტანიძე და ალექსი მოდებაძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ. შინ ვერცხლის მედლით დაბრუნდა თამაზ გეგეშიძე. ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფავორიტები გახდნენ გიორგი ჯინჭველაშვილი და მირიან გიორგაძე, მეორე იყო ტარიელ მელელაშვილი, მესამე — ირაკლი ჭოჭუა.

სპორტული ფედერაციები სპორტის დეპარტამენტისა და სეოკ-ის მხარდაჭერით დაბეჯითებით შეუდგნენ იმ ორგანიზაციებთან და ცალკეულ ბიზნესმენებთან კონტაქტების გაღრმავებას, რომლებიც ქართულ სპორტს მხარში ამოუდგებოდნენ. მცდელობას, უნდა ითქვას, უშედეგოდ არ ჩაუვლია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სპორტის მხარდამჭერი ბიზნესის გააქტიურება საქართველოში, იმედის გამონათება.

განსაკუთრებული და სამაგალითო წვლილი ამ საქმეში მსხვილმა კომპანიებმა შეიტანეს. ხოლო ,,მაგთი'' და ,,ჯეოსელი'' ის კომპანიები იყვნენ, რომლებმაც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტიდან და სეოკ-იდან პირველებმა გაითხოვეს წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი. ამას გარდა ,,მაგთი'' XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების დიდი კულტურულ-სპორტული ღონისძიების თაოსნადაც მოგვევლინა. რეფერენდუმის შედეგად XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ბორის პაიჭაძე, საუკეთესო მეკარედ — სერგო კოტრიკაძე, მცველად — მურთაზ ხურცილავა, ნახევარმცველად — დავით ყიფიანი, თავდამსხმელად — მიხეილ მესხი. საუკეთესო გუნდად დასახელდა თბილისის ,,დინამო'', მწვრთნელად — ნოდარ ახალკაცი, მსაჯად — ანატოლი მილჩენკო, საუკეთესო გოლად მიიჩნიეს ვიტალი დარასელიას მიერ 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე, ,,კარლ-ცეისთან'' ფინალურ მატჩში გატანილი გოლი. ნომინაციაში ,,დიდი კაპიტანი'' პრიზი გადაეცა ალექსანდრე ჩივაძეს, ,,ოლიმპიური მიღწევისათვის'' — გელა კეტაშვილს.

იმავე ღონისძიებაზე დასახელდა ფეხბურთში მოღვაწე საუკუნის საუკეთესო ჟურნალისტი როდიონ (ბიჭიკო) ქორქია, საუკეთესო სპორტული ტელეჟურნალისტი — დავით ქლიბაძე, საუკეთესო სპორტული გაზეთი — ,,ლელო'', საუკეთესო კინორეჟისორი — მიხეილ ჭიაურელი, საუკეთესო ტელეკომენტატორად — კოტე მახარაძე, ფეხბურთში მომუშავე საუკეთესო ექიმი — ზაქრო თელია.

ახალი საუკუნის პირველი წელი ღირსსახსოვარი იმითაც გახდა, რომ დასრულდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ხუან ანტონიო სამარანჩის წარმატებული მოღვაწეობის 21-წლიანი ეპოქა. სამარანჩმა შემცვლელად თავისივე გარემოცვიდან 5 კანდიდატურა წამოაყენა, რომელთაგან ერთ-ერთი ჟაკ როგი, 16 ივლისს, სოკ-ის 112-ე სესიაზე მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის ახალ მესაჭედ აირჩიეს კიდეც.

2001 წელს საქართველოს სპორტსმენებმა სასახელო წარმატებებს მიაღწიეს ჭიდაობაში, ძიუდოში, ძალოსნობაში, ტყვიის სროლაში, ალპინიზმში, ჭადრაკში, მკლავჭიდში, სპორტის სხვა სახეობებში, რაც კრიზისიდან გამოსვლისათვის სპორტის დეპარტამენტის, სეოკ-ის, სპორტული ფედერაციებისა და სპონსორების მიერ გაწეული ერთობლივი ძალისხმევის შედეგი იყო.

დახმარების იმედი უცხოეთიდანაც გამოჩნდა. თბილისში ჩამოვიდა, ბაკურიანს ეწვია და ჩვენს ფედერაციას ამ ,,თეთრი მარგალიტის'' აღორძინებაში თანადგომას დაჰპირდა ავსტრიის სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი, ცნობილი სპეციალისტი კლაუს ლაისნერი. ეს უკვე ავსტრიელთა მეორე ვიზიტი იყო, მაგრამ საქმე წინ მაინც არ წავიდა. ჩვენმა ხელისუფლებამ თავი შეიკავა რაიმე ვალდებულებების აღებისგან. ქართული სპორტისადმი სახელმწიფოს უყურადღებობის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა იმ ხანებში — ნაცვლად ხელშეწყობისა, მთავრობამ ,,საქართველოში სპორტის ეროვნული ფონდის'' ლატარიების დაბეგვრა 25 პროცენტამდე გაზარდა, რამაც სრულ გაკოტრებამდე მიიყვანა ეს საქმე. ფონდი იძულებული გახდა ლატარიების გათამაშება შეეწყვიტა.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ,,ვეტერან ოლიმპიელთა ფონდის'' შექმნის თაოსნობას. ფონდი შეიქმნა. პრეზიდენტად ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი აირჩიეს. სიახლე მოიწონა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და ლ. თედიაშვილს მადლობაც შემოუთვალა ფონდის დაფუძნებისათვის. გავიდა დრო და ამ ფონდმაც განუხორციელებელ ოცნებათა ბედი გაიზიარა.

მართალია, ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო შიგადაშიგ იმეტებდა თანხებს სპორტის ცალკეული სახეობებისათვის, მთლიანობაში მდგომარეობა კატასტროფული რჩებოდა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იძულებული გახდა საზოგადოებრიობისთვის ეცნობებინა, რომ ,,არც ზამთრის, არც ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის, არც ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მოსამზადებლად და მონაწილეობის მისაღებად, მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, ჯერჯერობით არანაირი თანხები არაა გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულებით.''

თენგიზ გაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

დასაწყ. ,,ლელო'' №31-39, 41-43, 45, 47, 49, 51, 53, 55, 57,59,62,64

თურქეთი – საქართველო 1-1
ეროვნული ნაკრებები

თურქმა შაში ვერ გააგორა

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. პირველი ტური. II ჯგუფი.
4 სექტემბერი. ტრაბზონი. სტადიონი „ავნი აკერი“
თურქეთი – საქართველო 1-1 (ეროვნული ნაკრებები)

თურქეთი: რუშთუ, სერქანი, ბარიში, შანლი (კარადენიზი, 72), ოზატი, ემრე, ტორომანი, შაში, შუქური (ნიხატი, 80), თეკე (ჩიმშირი, 72), ოკანი.

საქართველო: დევაძე, მჟავანაძე, ხიზანიშვილი (კვარაცხელია, 90), კალაძე, ხიზანეიშვილი, კვირკველია, ცქიტიშვილი, რეხვიაშვილი (ასათიანი, 80), დემეტრაძე (ჯაკობია, 75), ჯამარაული, შ. არველაძე.

გოლები: 1-0 თეკე (49), 1-1 ასათიანი (85).

გააფრთხილეს: კვირკველია (22), შუქური (28), შაში (33, 58), კალაძე (66), ნიხატი (82), ბალჯი (83), ხიზანეიშვილი (83). ჯაკობია (88).

გააძევეს: შაში (58).; **მსაჯი:** ლ. მედინა (ესპანეთი).

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ახალგაზრდა კოლეგებს მხარი აუბა და ტრაბზონიდან ქულა წამოიღო. თურქებთან მატჩს მოუთმენლად და ერთგვარი შიშით ველოდით. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. საწყისი შტურმი მასპინძლებს არ გამოუვიდათ, თუმცა, ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ აშკარა ხიფათი დევაძის კართან არ იქმნებოდა, თუ არ ჩავთვლით მჟავანაძის მოგერიებულ ბურთს კარის ხაზიდან. იერიშები არც სტუმრებს გამოსდიოდათ, მაგრამ პირველი გოლის გატანა ჩვენებს შეეძლოთ. 23-ე წუთზე ხიზანიშვილის თავური ძელს მოხვდა, ბურთისკენ დემეტრაძე გაიჭრა, მაგრამ კარში დარტყმის მაგივრად, რაღაც უხერხული მოძრაობა გააკეთა და მასპინძლები აშკარა გოლისგან იხსნა. ათ წუთში თურქებმა შემოგვიტიეს, გოლიც გაიტანეს, მაგრამ შაშის ხელით თამაშის გამო იგი მსაჯმა არ ჩათვალა. მერე შანლიმ დაურტყა დევაძეს, მაგრამ მეკარემ ბურთი აიღო. ტაიმის დასასრული ჩვენებისა იყო. ცქიტიშვილის საჯარიმო დარტყმა რუშთუმ გაჭირვებით მოიგერია, რასაც კუთხური მოჰყვა და თურქები გოლს ისევ გადაურჩნენ. პირველი ნახევრის შემხედვარე იფიქრებდით, თითქოს, წარმატებული შედეგის მიღწევა შესაძლებელი იყო, მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და ქართველებს ყველაფერი აერიათ. დაბნეულობამ იჩინა თავი. ბევრი წუნი იყო გადაცემებში და დასაწყისშივე თურქებს გოლიც ვაჩუქეთ. მჟავანაძემ აუტი უხეიროდ მოაწოდა, ბურთი თურქებს გადაეცათ, რასაც შეტევა მოჰყვა სტუმრების დაცვის მარჯვენა ფლანგზე. თეკემ კვირკველიას აჯობა და ზუსტი პასი თავური დარტყმით გოლად გარდასახა. სტუმართა თამაშში ქაოსი დიდხანს გაგრძელდა, თურქებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ დევაძემ იყოჩაღა. ჯერ შუქურს აუღო აუღებელი, მერე გოლის ავტორს თეკეს აჯობა. მატჩის მიწურული კარგს არაფერს გვიქადდა, მაგრამ ქირესმა ცვლილებები გამოიცნო და პირველმა ოფიციალურმა შედეგმაც გაუმართლა. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, მასპინძლები დაჯარიმდნენ, ცქიტიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი და ასათიანმა მაღალ ნახტომში თავით ზუსტად დაურტყა ცხრიანში რუშთუს. მანამდე საგულისხმო ფაქტი მოხდა, მსაჯმა თურქებს შაში გაუგდო, რამაც მათი იერიშები დააცხრო და ჩვენებურებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

თურქეთი – საქართველო
რეხვიაშვილისა (№8) და შაშის
ორთაბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სასტარტო მატჩში დადებითიც იყო და უარყოფითიც. აღსანიშნავია, რომ პირველივე შეხვედრაში არ შევრცხვით. მრისხანე მეტოქეს გასვლაზე ტოლსწორად ვეთამაშეთ და თითქოს ნაღდი სამი ქულა ჯიბიდან ამოვაცალეთ. მეტი გამბედაობა, სისხარტე და შეუპოვრობა რომ გამოგვევლინა, ტურნირს სულაც მოგებით დავიწყებდით. ტემპი და აგრესიულობა, აშკარად გვაკლდა, არეული იყო დაცვა, შეტევა, ფაქტობრივად, არ გამოგვდიოდა. ეს ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას. მომავალ მეტოქედ ხომ თითქმის მუდმივ მეტოქედ ქცეული ალბანეთია. პირველი დიდი სენსაციის ავტორი გუნდი, რომელმაც 500 ათასი დოლარი მიიღო ევროპის ჩემპიონების დამარცხებისათვის.

ალბანელები ჯგუფის ლიდერებად ჩამოვიდნენ თბილისში და ხვალეც დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. სტუმრები არც მალავენ, რომ საქართველოში წარმატებისთვის ჩამოვიდნენ, თუმცა, მასპინძლებიც თურქეთში მოპოვებული ქულით შეგულიანებული ეკვეთებიან მეტოქეს.

II ჯგუფი

ალბანეთი – საბერძნეთი 2-1
თურქეთი – საქართველო 1-1
დანია – უკრაინა 1-1

ალბანეთი	1	1	0	0	2-1	3
საქართველო	1	0	1	0	1-1	1
თურქეთი	1	0	1	0	1-1	1
დანია	1	0	1	0	1-1	1
უკრაინა	1	0	1	0	1-1	1
საბერძნეთი	1	0	0	1	1-2	0
ყაზახეთი	0	0	0	0	0-0	0

II ტური
8 სექტემბერი
ყაზახეთი — უკრაინა
საქართველო — ალბანეთი
საბერძნეთი — თურქეთი

მეფე შიშველია

მეფე ოტო თანამემამულემ დაამხო. ოტო რეხაგელის ევროპის ტრიუმფატორებს წირვა ჰანს-პეტერ ბრიგელის შეგირდებმა გამოუწირეს. ალბანელები იმუქრებოდნენ, დიდი თანხის საფასურად ბერძნებს მოვუგებთო. მუქარა შეასრულეს კიდეც. თამაში ხეირიანად დაწყებული არც იყო, რომ ბერძენთა საჯარიმოს და კარს ცეცხლი ეკიდა. საწყის წუთებში ორი გოლი გაიტანეს მასპინძლებმა. სტუმრებმა, თანდათან თამაში გაათანაბრეს, ერთი გოლი გაქვითეს კიდეც, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლეს. ბერძნები პირველივე მატჩში დამარცხდნენ და ხვალ ჯგუფის მეორე ფავორიტს, ქართველებთან ნაბრძოლ თურქებს უმასპინძლებენ.

ალბანეთი –
საბერძნეთი

ჩვენი ჯგუფის მესამე მატჩიც უკომპრომისო გამოდგა. დანიამ უკრაინა ვერ დაჩაგრა და ფრეს დასჯერდა. მეორე შესარჩევი ჯგუფი ძნელად პროგნოზირებადია, რაც პირველივე ტურმა დაამტკიცა.

ჯერ პოლონელი, მერე ირლანდიელი...

ქართულ-ალბანურ სანაკრებო შეხვედრებს პოლონელი და ირლანდიელი მსაჯები გაუძღვებიან. 7 სექტემბერს, პოლონელები – მარეკ მიკოლაევსკი, მაცეი ვიერზბოვსკი, პიოტორ სვალინა და ტომაშ პაკუდა ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს მოემსახურებიან. 8 სექტემბერს, ირლანდიელები – მარკ კორტნი, კეიტ გლაზგოუ, გერარდ ფლინი და მაიკლ როსი ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრას გაუძღვებიან.

ფიფას დელეგატები – როლანდ ტისი (ბელგია) და ზდრავკო იოკიჩი (სერბეთი)

მსაჯები ევრო სარბიელზე

ევროპის საკლუბო ტურნირებში და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობას ქართველი მსაჯებიც მიიღებენ. 4 სექტემბერს, ირლანდია – კვიპროსის ეროვნულ ნაკრებთა შესარჩევ მატჩს უძღვებოდნენ: ლევან ფანიაშვილი, ლევან მიქელაძე, ზურაბ ჯვარიძე და მერაბ მალაღურაძე.

16 სექტემბერს, ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში ადგილობრივი გუნდისა და შვედური „იურგორდენის“ უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს, ისევ ლევან ფანიაშვილი მოემსახურება. მას ასისტენტობას გაუწევენ: ზაზა, მენთეშაშვილი, გურამ ჩიგოგიძე და ზურაბ ანიაშვილი.

გოჩა ტყებუჩავამ არ გვიმტყუნა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
შესარჩევი ეტაპი. პირველი ტური. II ჯგუფი.
3 სექტემბერი. რიზე. ათათურქის სახელობის სტადიონი.
მასპინძლების დისკვალიფიკაციის გამო მატჩი ჩატარდა უმაყურებლოდ.
თურქეთი – საქართველო 0-0
ახალგაზრდული ნაკრებები

თურქეთი: ფევზი, მუჰამედი, მეჰმეთი, ტაიფუნი (მეჰმეთ ტოპუზი, 68), ბექირი, ჰანეფი, საბრი (ესერი, 82), ფაჰრი, უმუთი, ბილალი (ადუმი, 59). სემიჰი.

საქართველო: თოთლაძე, ციმაკურიძე, კაშია, იმედაშვილი, მ. ლომიძე, თ. ბურნაძე (გრიგალაშვილი, 78), გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, კ. ალადაშვილი, გოგუა, ხოჯავა (გეწაძე 69), გ. ნოდარის ძე ჭელიძე (მოდებაძე, 60).

გააფრთხილეს: ალადაშვილი (43), ჰანეფი (45), გ. ნუგ. ჭელიძე (51), საბრი (79).

მსაჯი: გ. ლებნერი (ავსტრია).

მიზანი ნათელია, „საწყის ორ მატჩში ოთხ ქულას ვეგემავთ“ – განუცხადებია ახალგაზრდული ნაკრების თავკაცს და რიზეში ქულაც მოუპოვებია. ტყებუჩავას გუნდი დაუმარცხებელია. ორ ამხანაგურ გამარჯვებას, მისმა შეგირდებმა ოფიციალური თურქული ქულაც მიამატეს. ფრე იოლად არ მოსულა. მასპინძლები დასაწყისიდანვე შეეცადნენ საქმის მოთავებას, მატჩის უმეტეს დროს ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ, სახიფათოდ უტევდნენ, საგოლე მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ქართული ახალგაზრდული გუნდი ვერ გატეხეს. სტუმრებმა მასპინძლების იერიშებს გაუძლეს, უხეშობის ზღვარზე მიმდინარე, საკმაოდ ხისტ თამაშში ჩვენებურები არ დაიბნენ და დაცვითი ჯებირები საფუძვლიანად გაამაგრეს. სტუმართა ნაკრებს ბრძოლის ჟინმა და ოფლის ღვრამ გაუმართლა. ჩვენებურთაგან მეკარემაც და მცველებმაც იყოჩაღეს და არც იღბალმა გვაქცია ზურგი. პირველი ქულა მოვიპოვეთ და შედეგიც დამაკმაყოფილებელია. ნაკრების მთავარი მწვრთნელის განმარტებით, ბიჭებმა მომდევნო მატჩში უკეთ უნდა ითამაშონ. შემდეგი მეტოქე კი ალბანეთია.

ჩვენს შესარჩევ ჯგუფში კიდევ ორი მატჩი ჩატარდა. ალბანელებმა და ბერძნებმა ქულები გაიყვეს. უკრაინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს დანიელებს, თუმცა, დაძაბულ მატჩში მაინც მასპინძლებმა იძალეს და პირველი ტურის შემდეგ ჯგუფში დაწინაურდნენ.

II ჯგუფი

თურქეთი — საქართველო 0-0
ალბანეთი — საბერძნეთი 1-1
დანია — უკრაინა 3-2

დანია	1	1	0	0	3-2	3
ალბანეთი	1	0	1	0	1-1	1
საბერძნეთი	1	0	1	0	1-1	1
საქართველო	1	0	1	0	0-0	1
თურქეთი	1	0	1	0	0-0	1
უკრაინა	1	0	0	1	2-3	0
ყაზახეთი	0	0	0	0	0-0	0

II ტური
7 სექტემბერი
ყაზახეთი — უკრაინა
საქართველო — ალბანეთი
საბერძნეთი — თურქეთი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

აზერბაიჯანი – უელსი 0-1
ალბანეთი – საბერძნეთი 1-1
რუმინეთი – მაკედონია 5-1
ხორვატია – უნგრეთი 1-0
ესტონეთი – ლუქსემბურგი 0-0
საფრანგეთი – ისრაელი 1-0
ავსტრია – ინგლისი 0-2
მალტა – შვედეთი 0-1
დანია – უკრაინა 3-2
ისლანდია – ბულგარეთი 3-1
ლატვია – პორტუგალია 1-2
ბელგია – ლიტვა 3-0
ირლანდია – კვიპროსი 3-0
სან-მარინო – სერბეთი 0-5
იტალია – ნორვეგია 2-0
რუსეთი – სლოვაკეთი 4-0

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

I ჯგუფი						
რუმინეთი	2	2	0	0	6-1	6
მაკედონია	2	1	0	1	5-5	3
ჰოლანდია	0	0	0	0	0-0	0
ჩეხეთი	0	0	0	0	0-0	0
ფინეთი	1	0	0	1	0-1	0
სომხეთი	1	0	0	1	0-4	0
III ჯგუფი						
რუსეთი	1	1	0	0	4-0	3
პორტუგალია	1	1	0	0	2-1	3
სლოვაკეთი	2	1	0	1	1-4	3
ესტონეთი	1	0	1	0	0-0	1
ლუქსემბურგი	2	0	1	1	0-1	1
ლატვია	1	0	0	1	1-2	0
IV ჯგუფი						
ირლანდია	1	1	0	0	3-0	3
საფრანგეთი	1	1	0	0	1-0	3
შვეიცარია	0	0	0	0	0-0	0
ისრაელი	1	0	0	1	0-1	0
კვიპროსი	1	0	0	1	0-3	0
V ჯგუფი						
იტალია	1	1	0	0	2-0	3
სლოვენია	1	1	0	0	1-0	3
შოტლანდია	0	0	0	0	0-0	0
ბელარუსი	0	0	0	0	0-0	0
მოლდოვა	1	0	0	1	0-1	0
ნორვეგია	1	0	0	1	0-2	0
VI ჯგუფი						
ინგლისი	1	1	0	0	2-0	3
უელსი	1	1	0	0	1-0	3
გერმანია	0	0	0	0	0-0	0
პოლონეთი	0	0	0	0	0-0	0
აზერბაიჯანი	1	0	0	1	0-1	0
ავსტრია	1	0	0	1	0-2	0
VII ჯგუფი						
სერბეთი	1	1	0	0	5-0	3
ბელგია	1	1	0	0	3-0	3
ესპანეთი	0	0	0	0	0-0	0
ბოსნია	0	0	0	0	0-0	0
ლიტვა	1	0	0	1	0-3	0
სან-მარინო	1	0	0	1	0-5	0
VIII ჯგუფი						
ისლანდია	1	1	0	0	3-1	3
შვედეთი	1	1	0	0	1-0	3
ხორვატია	1	1	0	0	1-0	3
უნგრეთი	1	0	0	1	0-1	0
მალტა	1	0	0	1	0-1	0
ბულგარეთი	1	0	0	1	1-3	0

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი.
საპასუხო მატჩები.

გურია —ტორპედო 5-5 (0-6)
ეგრისი — კოლხეთი 1913 0-2 (0-5)
კოლხეთი (ხ) — დინამო (ბთ) 1-1 (0-4)
მაღაროელი — ზესტაფონი 2-4 (2-3)
ამერი — ჩიხურა 4-1 (2-1)
ივერია — ლოკომოტივი 0-0 (0-3)
კახეთი — მილანი-მერანი 2-1 (0-2)
ბორჯომი — სიონი 0-1 (2-2)
ჭაბუკიანი — რუსთავი 1-0 (1-2)
ცხუმი — სპარტაკი 0-0 (1-3)
მუხრანი — ცხინვალი 1-1 (0-2)
საგარეჯო — პრემა 0-2 (0-1)

მერვედფინალის კენჭისყრა მოეწყობა პარასკევს, 10 სექტემბერს 12 საათზე.

გავრილ კაჩალინი და მისი თერთმეტი რაინდი

გახსენება

მსოფლიოს ჩემპიონატი ომია. ომი შეუბრალებელი და მკაცრი. ომში კი იმარჯვებს ის, ვისაც ბრძოლა შეუძლია. ჩემი ბიჭები უნდა იყვნენ ძლიერები როგორც ლომები, სწრაფები როგორც პანტერები და მოხერხებულები როგორც იაგუარები. ისინი უნდა იყვნენ „ფერასები" – მტაცებლები.

ჟოაო სალდანია ბრაზილიელი ჟურნალისტი და მწვრთნელი

მაშინ, 1959-60 წ.წ. ფეხბურთში ევროპის თასის (ახლა ევროპის ჩემპიონატი) პირველი გათამაშებაც ომი იყო. ძლიერთა ომი. ასეთ ომში საუკეთესოთა შორის საუკეთესონი ჩაებნენ. ბოლოს ოთხი გუნდი დარჩა. ოთხი ძლიერ ფეხბურთელთა გუნდი: საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, საფრანგეთი და ჩეხოსლოვაკია.

ოთხივე გუნდი, 1960 წლის ივლისში, საფრანგეთში ჩავიდა. მათ იქ უნდა გაერკვიათ, ვინ უფრო ძლიერი იყო. ნახევარფინალში ისინი შემდგნაირად დაწყვილდნენ: საბჭოთა კავშირი — ჩეხოსლოვაკია, მარსელი; საფრანგეთი — იუგოსლავია, პარიზი. ორივე ნახევარფინალი 6 ივლისს გაიმართა.

...მანამდე იყო ერთი კაზუსი: მეოთხედფინალში საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ ესპანეთის ნაკრები სათამაშოდ არ გამოვიდა. ფრანკოს ფაშისტურმა რეჟიმმა და პირადად დიქტატორმა თავიანთ ფეხბურთელებს მათი პოლიტიკური ოპონენტი ქვეყნის სპორტსმენების წინააღმდეგ თამაშის ნება არ მისცეს. მოსწრებულად ხუმრობდნენ მაშინ: ფრანკომ გოლი საკუთარ კარში გაიტანაო.

...საფრანგეთში გავრილ კაჩალინმა გამოცდილი „ფერასები" (თქვენი ნებართვით, გამოვიყენებ ჟოაო სალდანიას ამ ტერმინს) 17 ფეხბურთელი წაიყვანა. მათგან ერთი და იგივე თერთმეტი ფეხბურთელი ათამაშა ორივე მატჩში: ნახევარფინალში და ფინალში.

გავრილ კაჩალინს, ამ უდიდეს მწვრთნელს, შეუდარებელ მაესტროს, ჰქონდა ერთი დიდი თვისება (სხვა თვისებებთან ერთად), რომელიც მის საწვრთნელ რეიტინგს მაღლა სწევდა: მას მუდამ ჰყავდა გამოკვეთილი ძირითადი შემადგენლობა — ძირითადი 11 ფეხბურთელი. ასეთი იყო იგი სსრკ ნაკრებში, თბილისის „დინამოში", მოსკოვის „დინამოში", ყველგან... მის გუნდებში ყველა ფეხბურთელმა იცოდა თავისი ადგილი. იცოდა ეს, როგორც ძირითადმა, ასევე სათადარიგო მოთამაშემ. ფეხბურთის ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა კარგად უწყის — მას ამის შესახებ შეხსენება არ დასჭირდება.

ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ნაკრებთა წინააღმდეგ ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით წარსდგა: ლევ იაშინი, გივი ჩოხელი, ანატოლი მასლიონკინი, ანატოლი კრუტიკოვი, იური ვოინოვი, იგორ ნეტო, სლავა მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, ვიქტორ პონედელნიკი, ვალენტინ ბუბუკინი, მიხეილ მესხი.

ნახევარფინალური მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს 3-0. ბურთები გაიტანეს ვალენტინ ივანოვმა (2) და ვიქტორ პონედელნიკმა.

მეორე ნახევარფინალური მატჩი დრამატულად წარიმართა. მასპინძლები — ფრანგები იგებდნენ 4-2. თამაშის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როდესაც იუგოსლავიელებმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 5-4.

ფინალში, 10 ივლისს, ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ სსრკ და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. მატჩი პარიზში შედგა „პარკ დე პრენსის" სტადიონზე.

შეხვედრის პირველი ნახევარი 1-0 დამთავრდა იუგოსლავიელთა სასარგებლოდ. ბურთი 44-ე წუთზე გალიჩმა გაიტანა. მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე სლავა მეტრეველმა გაქვითა 1-1. დაინიშნა დამატებითი დრო. 12-ე წუთზე მიხეილ მესხის უნაკლო ჩაწოდების შემდეგ, ვიქტორ პონედელნიკმა თავური დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში გაახვია — 2-1. საბჭოთა ნაკრები ევროპის პირველი თასის გათამაშების გამარჯვებული გახდა — ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ეს გამარჯვება და მიღწევა ერთადერთი იყო საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

... მე წილად მხვდა ბედნიერება იმ მხრივ, რომ სხვადასხვა დროს შევხვდი და ვესაუბრე ამ გამარჯვებული გუნდის თერთმეტივე ფეხბურთელს.

ვრცელი ინტერვიუ ავიღე გავრილ კაჩალინისგან 1988 წლის სექტემბერში, მოსკოვში, სასტუმრო „მოსკვაში". შემდეგ რესტორანში მივიწვიე. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, ტაქსით სახლამდე რომ მივაცილე.

არ გამიწყვეტია მასთან კავშირი მის გარდაცვალებამდე (გ. კაჩალინი გარდაიცვალა 1995 წლის მაისში). ხშირად ვეხმიანებოდი ტელეფონით, ჩვენს შორის ნამდვილად თბილი ურთიერთობა დამყარდა. გული დამწყვიტა მისმა გარდაცვალებამ.

მისმა ქვრივმა ანტონინა პეტრეს ასულმა მე საჩუქრად გადმომცა გავრილ კაჩალინის მიერ შედგენილი ფოტოსურათების ალბომი, ფოტოსურათები, ჩანაწერები. ანტონინა პეტრეს ასულს დღესაც ვურეკავ და მოვიკითხავ ხოლმე.

გავრილ კაჩალინი დიდი მწვრთნელი და დიდი მოქალაქე გახლდათ.

მისი იმ თერთმეტი რაინდიდან, დღეს ჩვენს შორის აღარ არიან ლევ იაშინი, გივი ჩოხელი, ანატოლი მასლიონკინი, იური ვოინოვი, იგორ ნეტო, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი. დანარჩენები მოსკოვში ცხოვრობენ, პენსიონერები არიან. ამავე დროს ანატოლი კრუტიკოვი მოსკოვის „სპარტაკის" საპატიო წევრია.

ვალენტინ ივანოვი ამჟამად „ტორპედო-მეტალურგის" მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარეა. ავტორია წიგნისა „ცენტრალური წრე". მას და მის მეუღლეს (1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ტანვარჯიშში ლიდია კალინინა) ხშირად ვურეკავ.

ვიქტორ პონედელნიკი ჟურნალისტია, ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობს. ავტორია წიგნებისა: „საჯარიმო მოედანი", „ფეხბურთი ჩემი სიყვარული", „ცენტრალური თავდამსხმელის აღსარება". (ეს წიგნი რამდენიმე ხნის წინათ ვიქტორმა მოსკოვიდან სამახსოვრო წარწერით გამომიგზავნა). ვიქტორსაც ხშირად ვესაუბრები ტელეფონით.

ვალენტინ ბუბუკინი მოსკოვის ვეტერან ფეხბურთელთა კლუბის წევრია.

ყველასაგან, როგორც მოგახსენეთ, სხვადასხვა დროს ინტერვიუ მაქვს აღებული.

იმ მრავალ კითხვათა შორის, რომლებიც მე მათ თავის დროზე დავუსვი, ორი ასეთი კითხვაც იყო:

1. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩატარებული მატჩებიდან რომელს გამოჰყოფდით?

2. როდის უფრო ძლიერი იყო საბჭოთა ნაკრები 1958 წელს თუ 1960 წელს? (სხვა პერიოდის სსრკ ნაკრები გუნდების შედარებით არ დავინტერესებულვარ მათი გაცილებით დაბალი კლასის გამო).

აი, მათი პასუხებიც:

№1 — ლევ იაშინი:

1. ...მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან ევროპის თასზე 1960 წელს.

2. 1960 წელს.

№2 — გივი ჩოხელი:

1. 1960 წელს ევროპის თასის ფინალში იუგოსლავიის ნაკრებთან.

2. უყოყმანოდ ვიტყვი: 1958 წელს (მახსოვს, ამ პასუხის დროს გივი ურყევი და კატეგორიული იყო).

№3 — ანატოლი მასლიონკინი:

1. ...1960 წელს, როცა ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. სიამოვნებით ვიგონებ ამ ფინალურ მატჩს.

2. 1960 წელს.

№4 — ანატოლი კრუტიკოვი:

1. 1960 წელს ევროპის თასის ფინალი.

2. 1960 წელს.

№5 — იური ვოინოვი:

1. შვეციაში ბრაზილიელებთან და ინგლისელებთან (1-0) 1958 წელს.

2. თუ პრინციპულად შევაფასებთ, ალბათ 1960 წლის ნაკრები.

№6 — იგორ ნეტო:

1. ...1960 წელს მატჩი იუგოსლავიელებთან, ევროპის თასზე.

2. 1960 წელს.

№7 — სლავა მეტრეველი:

1. ...1960 წლის მატჩი იუგოსლავიელებთან, პარიზში.

2. 1960-62 წ.წ.

№8 — ვალენტინ ივანოვი:

1. მატჩი ჩეხებთან მარსელში — 1960 წელს.

2. ალბათ, მაინც 1960-62 წ.წ. ნაკრები.

№9 — ვიქტორ პონედელნიკი:

1. ...მატჩი 1960 წელს, პარიზში, ევროპის თასის ფინალში.

2. 1960-62 წ.წ. ნაკრები. ეს მართლაც დიდი გუნდი იყო.

№10 — ვალენტინ ბუბუკინი:

1. მატჩი იუგოსლავიელებთან 1960 წელს პარიზში, ევროპის თასზე.

2. თუ 1958 წლის ნაკრებს განვიხილავთ ოგონკოვის, ტატუშჩინისა და სტრელცოვის გამოკლებით და, სამწუხაროდ, ეს ასეც უნდა გავაკეთოთ, მაშინ ჩვენი — 1960 წლის ნაკრები აღემატებოდა მას.

№11 — მიხეილ მესხი:

1. ... 1960 წელს პარიზში, მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან ევროპის თასზე.

2. 1960 წელს.

როცა 1960 წლის სსრკ ნაკრებზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება 1961-62 წ.წ. ნაკრები. ეს ფაქტობრივად, ერთი და იგივე გუნდი იყო.

საინტერესოა, ამ ორ კითხვაზე გავრილ კაჩალინის აზრი. ჩვენი საუბარი, როგორც გითხარით, 1988 წლის სექტემბერში შედგა:

1. როგორც ფეხბურთის სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, ჩემი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა (1955-1970 წ.წ.) 78 მატჩი ჩაატარა. აქედან — 51 მოვიგეთ, 15 ფრედ დავამთავრეთ და 12 წავაგეთ. მწვრთნელებისთვის ყველა მატჩი დასამახსოვრებელია. გამოვყოფ 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადის ფინალურ მატჩს იუგოსლავიელებთან, 1960 წელს ევროპის თასის ფინალურ მატჩს პარიზში, ასევე იუგოსლავიელებთან და 1961 წლის 18 ნოემბრის მატჩს ბუენოს-აირესში, არგენტინელებთან. ჩვენ იქ გავიმარჯვეთ — 2-1.

2. 1960 წელს ჩვენი ნაკრები მართლაც ძლიერი იყო. ისეთი ბიჭები იყვნენ, რომ ეშმაკს რქებს მოუგრეხდნენ. მიუხედავად ამისა, ჩემი სიმპატია მაინც 1958 წლის ნაკრებს ეკუთვნის. იგი ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში. მაშინ, მ. ოგონკოვი, ბ. ტატუშჩინი და ე. სტრელცოვი რომ არ გამოგვკლებოდნენ, ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწევდით.

...ასეთი იყო დიდი გავრილ კაჩალინი და მისი თერთმეტი რაინდი.

...დიდი მწვრთნელი და დიდი გუნდი.

ნუგზარ მჭედლიშვილი,
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.
ქ. ქუთაისი.


პირველ რიგში: მარცხნიდან – ა. კრუტიკოვი, ვ. ბუბუკინი, ა. მასლიონკინი, ს. მეტრეველი, მ. მესხი; დგანან – ლ. იაშინი, ი. ნეტო (თასით), ვ. პონედელნიკი, ი. ვოინოვი, გ. ჩოხელი, ვ. ივანოვი.
ფოტო „ლელოს" არქივიდან

მესხის ჩაწოდების შემდეგ პონედელნიკს გამარჯვების გოლი გააქვს

შეკითხვა „ლელოს"

შეკითხვა: მაინტერესებს ვინ იყვნენ ბომბარდირები ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატებში?

ჰამლეტ მებონია, ზუგდიდი

პასუხი: ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატები, როგორც ცნობილია, ტარდება 1930 წლიდან. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა წარმოგიდგინოთ ყველა ჩემპიონატის ბომბარდირი:

1930 წელი. I ჩემპიონატი. ურუგვაი — სტაბილე (არგენტინა) — 8 გოლი.
1934 წელი. II ჩემპიონატი. იტალია — ნეედლი (ჩეხოსლოვაკია), სკიავიო (იტალია), კონენი (გერმანია) — 5-5.
1938 წელი. III ჩემპიონატი. საფრანგეთი — ლეონიდასი (ბრაზილია) — 8.
1950 წელი. IV ჩემპიონატი. ბრაზილია — ადემირი (ბრაზილია) — 9.
1954 წელი. V ჩემპიონატი. შვეიცარია — კოჩიში (უნგრეთი) — 11.
1958 წელი. VI ჩემპიონატი. შვეცია — ფონტენი (საფრანგეთი) — 13.
1962 წელი. VII ჩემპიონატი. ჩილი — გარინჩა, ვავა (ორივე — ბრაზილია), სანჩესი (ჩილი), ერკოვიჩი (იუგოსლავია), ალბერტი (უნგრეთი), ივანოვი (სსრკ) — 4-4.
1966 წელი. VIII ჩემპიონატი. ინგლისი — ეუსებიო (პორტუგალია) — 9.
1970 წელი. IX ჩემპიონატი. მექსიკა — მიულერი (გფრ) — 10.
1974 წელი. X ჩემპიონატი. გფრ — ლიატო (პოლონეთი) — 7.
1978 წელი. XI ჩემპიონატი. არგენტინა — კემპესი — 6.
1982 წელი. XII ჩემპიონატი. ესპანეთი — როსი (იტალია) — 6.
1986 წელი. XIII ჩემპიონატი. მექსიკა — ლინეკერი (ინგლისი) — 6.
1990 წელი. XIV ჩეპიონატი. იტალია — სკილაჩი (იტალია) — 6.
1994 წელი. XV ჩემპიონატი. აშშ — სალენკო (რუსეთი), სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 6-6.
1998 წელი. XVI ჩემპიონატი. საფრანგეთი — შუკერი (ხორვატია) — 6.
2002 წელი, XVII ჩემპიონატი. კორეა-იაპონია — რონალდო (ბრაზილია) — 6.


სტაბილე

შუკერი

რონალდო

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ ისევ თამაშობენ...

გასულ შაბათ-კვირას ფეხბურთის გულშემატკივართა ყურადღება მიმართული იყო მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი ტურის მატჩებისაკენ.

პირველ შესარჩევ ჯგუფში რუმინეთის ნაკრებმა უმასპინძლა მაკედონიის ნაკრებს და დაამარცხა მეტოქე 2-1. ანგარიში მე-16 წუთზე პანჩუმ გახსნა, 75-ე წუთზე ვასოკიმ წონასწორობა აღადგინა. მაკედონიელებს ქულის აღებამდე ორი წუთი დააკლდათ — 88-ე წუთზე მუტუმ გადამწყვეტი გოლი გაიტანა სტუმართა კარში.

ფინელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, 3-0 დაამარცხეს აუტსაიდერი ანდორას გუნდი.

მესამე ჯგუფში რუსეთის ნაკრებმა ვერ შეძლო საკუთარ მოედანზე სლოვაკეთის ნაკრების დამარცხება. არადა, თითქოსდა, ჩვენს მეზობლებს არ უნდა გასჭირვებოდათ სამი ქულის აღება: უკვე მეთოთხმეტე წუთზე ბულიკინმა გახსნა ანგარიში. 73-ე წუთზე რუსებმა ანგარიშის გახსნის ასპროცენტიანი შანსი გაუშვეს ხელიდან — სლოვაკების კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს. მატჩის დასრულებას სამიოდე წუთი აკლდა, ვიტეკმა წონასწორობა აღადგინა (1-1). ესტონელებმა საკუთარ მოედანზე სამი უპასუხო გოლი გაუტანეს ლუქსემბურგელებს.

პორტუგალიის ნაკრებმა სტუმრად შეძლო ლატვიელთა დამარცხება. რონალდუმ და პაულეტამ ორი უპასუხო გოლი გაიტანეს ბალტიისპირელთა კარში.

პორტუგალიის ნაკრები ამ შეხვედრაში შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: რიკარდო, ანდრადი, ვალენტი (კანეირა), ფერეირა, კარვალიუ, კოშტინია, დეკუ, მანიშე, სიმანი (ბოამორტე, 68), პაულეტა, რონალდუ (პეტი, 81).

მეოთხე ჯგუფში ირლანდიელებს არ გასჭირვებიათ კვიპროსელი ფეხბურთელების დამარცხება — 3-0. შვეიცარიელებმა კი 6 გოლი გაუტანეს ფარერის კუნძულების გუნდს.

საკმაოდ მოულოდნელი შედეგით დასრულდა საფრანგეთისა და ისრაელის ნაკრებთა შეხვედრა; გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე ფრანგები მხოლოდ ნულოვან ფრეს დასჯერდნენ (0-0). **საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა:** კუპე, ევრა, გალასი, ქივე, მენდი (ჟიული, 58), სკილაჩი, მაკელელე, როტენი (პირესი, 66), ვიეირა, ანრი, საა.

მეხუთე ჯგუფში ინტერესს იწვევდა პალერმოში გამართული მატჩი იტალიისა და ნორვეგიის ნაკრებთა შორის. ნორვეგიელები უკვე პირველივე წუთზე დაწინაურდნენ კარიუს გოლის წყალობით, მაგრამ სამ წუთში (!) დეროსიმ აღადგინა წონასწორობა. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ტონიმ გამარჯვების გოლი გაიტანა ნორვეგიელთა კარში — 2-1.

იტალიის ნაკრები: ბუფონი, ბონერა, ფავალი (დიანა, 67), მატერაცი, ნესტა, დე როსი, ფიორე, გატუზო, ძამბროტა, ჯილარდინო (კორადი, 58), მიკოლი (ტონი, 68).

ამავე ჯგუფში სლოვენიელებმა 3-0 დაამარცხეს მოლდაველები.

ასეთივე ანგარიშით **მეექვსე შესარჩევ ჯგუფში** პოლონელებმა სტუმრად სძლიეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს. ბრაზილიელი კარლოს ალბერტოს დამოძღვრილმა აზერბაიჯანის ნაკრებმა შინ ქულა აართვა უელსის გუნდს (1-1).

ინგლისის ნაკრები 2-0 იგებდა სტუმრად ავსტრიელებთან (გოლები გაიტანეს ლემპარდმა და ჯერარდმა), მაგრამ ხუთი წუთის ინტერვალში ორი გოლი გაუშვეს და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ (2-2).

ინგლისის ნაკრები: ჯეიმსი, ბრიჯი (ჯ. კოული, 84), ე. კოული, კინგი, გ. ნევილი, ტერი, ბექჰემი, ჯერარდი (კარაგერი, 82), ლემპარდი, ოუენი, სმიტი (დეფო, 76).

მეშვიდე ჯგუფში მოულოდნელი იყო ბელგიელთა საშინაო ფრე (1-1) ლიტვის გუნდთან.

სერბებმა 3-0 დაამარცხეს სანმარინოს სუსტი გუნდი.

მერვე ჯგუფში შვედებმა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს. მათ 7 (!) უპასუხო გოლი გაიტანეს მალტის ნაკრების კარში სტუმრად გამართულ შეხვედრაში.

ხორვატებმა იოლად სძლიეს უნგრელებს (3-0), ხოლო ბულგარელებმა — სტუმრად ისლანდიელებს (3-1).

დღეისათვის შესარჩევ ჯგუფებში სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

პირველი ჯგუფი

რუმინეთი	2	2	0	0	4-2	6
მაკედონია	2	1	0	1	4-2	3
ფინეთი	2	1	0	1	4-2	3
ჩეხეთი	0	0	0	0	0-0	0
ჰოლანდია	0	0	0	0	0-0	0
ანდორა	1	0	0	1	0-3	0
სომხეთი	1	0	0	1	0-3	0

მესამე ჯგუფი

ესტონეთი	2	2	0	0	6-1	6
სლოვაკეთი	2	1	1	0	4-2	4
პორტუგალია	1	1	0	0	2-0	3
რუსეთი	1	0	1	0	1-1	1
ლიხტენშტეინი	1	0	0	1	1-2	0
ლატვია	1	0	0	1	0-2	0
ლუქსემბურგი	2	0	0	2	1-7	0

მეოთხე ჯგუფი

შვეიცარია	1	1	0	0	6-0	3
ირლანდია	1	1	0	0	3-0	3
საფრანგეთი	1	0	1	0	0-0	1
ისრაელი	1	0	1	0	0-0	1
კვიპროსი	1	0	0	1	0-3	0
ფარერები	1	0	0	1	0-6	0

მეხუთე ჯგუფი

სლოვენია	1	1	0	0	3-0	3
იტალია	1	1	0	0	2-1	3
შოტლანდია	0	0	0	0	0-0	0
ბელარუსი	0	0	0	0	0-0	0
ნორვეგია	1	0	0	1	1-2	0
მოლდოვა	1	0	0	1	0-3	0

მეექვსე ჯგუფი

პოლონეთი	1	1	0	0	3-0	3
ავსტრია	1	0	1	0	2-2	1
ინგლისი	1	0	1	0	2-2	1
აზერბაიჯანი	1	0	1	0	1-1	1
უელსი	1	0	1	0	1-1	1
ჩრდ.ირლანდია	1	0	0	1	0-3	0

მეშვიდე ჯგუფი

სერბ.და ჩერნ.	1	1	0	0	3-0	3
ბელგია	1	0	1	0	1-1	1
ლიტვა	1	0	1	0	1-1	1
ბოსნია	0	0	0	0	0-0	0
ესპანეთი	0	0	0	0	0-0	0
სან-მარინო	1	0	0	1	0-3	0

მერვე ჯგუფი

შვედეთი	1	1	0	0	7-0	3
ხორვატია	1	1	0	0	3-0	3
ბულგარეთი	1	1	0	0	3-1	3
ისლანდია	1	0	0	1	1-3	0
უნგრეთი	1	0	0	1	0-3	0
მალტა	1	0	0	1	0-7	0

მომდევნო ტურში, რომელიც რვა სექტემბერს გაიმართება, ერთმანეთს ხვდებიან:

ანდორა — რუმინეთი
სომხეთი — ფინეთი
ჰოლანდია —ჩეხეთი
ყაზახეთი — უკრაინა
საქართველო — ალბანეთი
საბერძნეთი — თურქეთი
ლუქსემბურგი — ლატვია
სლოვაკეთი — ლიხტენშტეინი
პორტუგალია — ესტონეთი
ფარერები — საფრანგეთი
შვეიცარია — ირლანდია
ისრაელი — კვიპროსი
ნორვეგია — ბელარუსი
მოლდოვა — იტალია
შოტლანდია — სლოვენია
ავსტრია — აზერბაიჯანი
პოლონეთი — ინგლისი
უელსი — ჩრდ. ირლანდია
ლიტვა — სან-მარინო
ბოსნია — ესპანეთი
შვედეთი — ხორვატია
უნგრეთი — ირლანდია

ქარლოს ალბერტოს ქურსი

ცნობილია, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთელთა ნაკრებს ხელმძღვანელობს ბრაზილიელი სპეციალისტი კარლოს ალბერტო ტორესი. ის ვერავის ჰპირდება, რომ მისი ამჟამინდელი გუნდი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე აჩვენებს ისეთ ფეხბურთს, როგორიც 1970 წელს ბრაზილიის ნაკრებმა აჩვენა, თუმცა, იქადნის, რომ მეექვსე შესარჩევ ჯგუფში აზერბაიჯანელი ფეხბურთელები ორ-სამ მეტოქეს აუცილებლად ჩამოიტოვებენ.

კარლოს ალბერტოს დებიუტი აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ისრაელის გუნდთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა. აზერბაიჯანელებმა უსუსურად ითამაშეს და საკუთარ კარში 6 უპასუხო გოლი გაუშვეს. ამის შემდეგ აზერბაიჯანის ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი მოიგო და ორიც ფრედ დაასრულა. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე.

„ბრაზილიაში ფეხბურთი რელიგიის დონემდეა, მაგრამ მერწმუნეთ, სპორტის ეს სახეობა სიგიჟემდე უყვართ აზერბაიჯანშიც," — ამბობს კარლოს ალბერტო, — დარწმუნებული ვარ, რომ აზერბაიჯანის ნაკრები თავს არ შეირცხვენს ამ შესარჩევ ციკლში".

მეექვსე შესარჩევ ჯგუფში აზერბაიჯანის ნაკრებთან ერთად არიან უელსის, ინგლისის, ავსტრიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და პოლონეთის გუნდები.

კარლოს ალბერტო თვლის, რომ ჯგუფში პირველ ადგილს ინგლისელები დაიკავებენ, ხოლო აზერბაიჯანის ნაკრებმა მეორე ადგილისათვის უნდა იბრძოლოს, რათა ფლეი-ოფში ასპარეზობის უფლება მოიპოვოს.

შესარჩევი ეტაპის პირველ წრეში აზერბაიჯანის ნაკრები შინ 0-1 აგებდა უელსის გუნდთან, თუმცა, მაინც შეძლო მატჩის ფრედ დასრულება.

იარცევი არსად წასულა

რუსეთისა და სლოვაკეთის ნაკრებებს შორის გამართული შესარჩევი მატჩის (1-1) შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა გიორგი იარცევი. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა განაცხადა: „იარცევი თანამდებობიდან არ გადამდგარა. სლოვაკეთის ნაკრებთან მატჩის ფრედ დასრულებამ პანიკა არ უნდა გამოიწვიოს"...

100 ქულაა საკმარისი

ლონდონის „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს თქმით, მისი გუნდი პრემიერლიგის ჩემპიონი რომ გახდეს, 100 ქულის მოპოვებაა საკმარისი.

„თუკი მთელი სეზონის განმავლობაში 10 ქულაზე მეტს მოვისაკლისებთ, ჩემპიონის ტიტულის მოპოვება გაგვიძნელდება", — განაცხადა მოურინიომ.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონმა „ლონდონის" არსენალმა შარშანდელ სეზონში ყველაზე მეტი — 90 ქულა მოაგროვა.

გუტი: «ოუენს ვიეირა სჯობდა»

მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი გუტი მიიჩნევს, რომ მისი გუნდის ხელმძღვანელობას სჯობდა მაიკლ ოუენის ნაცვლად პატრიკ ვიეირა შეეძინა.

„ოუენის „რეალში" მოსვლით ყველაზე მეტად მორიენტესი დაზარალდა. ეს უკანასკნელი მოედანზე მაშინ გამოდის, როცა რონალდოს, ანდა, რაულის შეცვლაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ფერნანდო მორიენტესს თავის გამოჩენისათვის მცირე დრო ეძლევა", — ამბობს გუტი.

მწვრთნელის მეზობლად...

„მანჩესტერ იუნაიტედში" ახლადგადასული უეინ რუნი გუნდის მთავარი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის სახლის სიახლოვეს იცხოვრებს. თურმე, ფერგიუსონი თვალს მიადევნებს ახალგაზრდა, 18 წლის ფეხბურთელის ყოველდღიურ საქმიანობას, რათა ის ცუდ კამპანიაში არ მოხვდეს.

ზეედორფი „მილანში" 2009 წლამდე დარჩება

28 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც სამ კლუბთან — „აიაქსთან", „რეალთან" და „მილანთან" ერთად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის თასი. 2002 წლიდან ზეედორფი „მილანის" ღირსებას იცავს. ახლახან მან გუნდთან კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა.

შეგახსენებთ, რომ „მილანი" სერია „ა"-ს ახალ სეზონში ასპარეზობას იწყებს 11 სექტემბერს დებიუტანტ „ლივორნოსთან" შეხვედრით. გარდა ამისა, 14 სექტემბერს მილანელები ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაებმებიან.

ერიქსონს ნაკრებიდან გაძევებით ემუქრებიან

არ არის გამორიცხული, ხვალ ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის, სვენ გორან-ერიქსონის გარეშე დარჩეს.

ავსტრიის ნაკრებთან სტუმრად გამართული მატჩის ფრედ დასრულებამ, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აუვსო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობას. იმ შემთხვევაში, თუ პოლონელებთან ხვალინდელ მატჩში ინგლისელი ფეხბურთელები დამარცხდებიან, ერიქსონი თანამდებობას დატოვებს.

სხვათა შორის, ერიქსონის გაძევების შესახებ პირველმა ინფორმაციამ არასაფეხბურთო თემაზე გაჟონა: საქმე ეხებოდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მდივანთან, ფარია ალანთან ერიქსონის ინტიმურ ურთიერთობას. ის „საქმე" ერიქსონმა, როგორც იქნა, მოაგვარა, თუმცა, გაძევების საფრთხე კვლავ გაუჩნდა. ამჯერად სუფთა საფეხბურთო „საქმის" გამო. ავსტრიელებთან მატჩში ინგლისელები 2-0-ს იგებდნენ, მაგრამ „ასტონ ვილას" გოლკიპერმა დევიდ ჯეიმსმა უმძიმესი შეცდომები დაუშვა, რითაც ინგლისის ნაკრები დაისაჯა კიდეც. მატჩის შემდეგ ერიქსონმა განაცხადა, რომ „ავსტრიელებთან მიღწეული ფრეთი პანიკა არ უნდა ატყდეს. ჩვენ არ დავიწყებთ რევოლუციას გუნდის შემადგენლობაში. მომდევნო შეხვედრაში პოლონელებთან ასეთივე ტაქტიკით ვითამაშებთ. ვფიქრობთ, თუ ასე გავაგრძელებთ, არა მგონია ბევრი ქულა დავკარგოთ. მე მჯერა ჩემი ფეხბურთელების, რადგან ისინი საუკეთესონი არიან". საინტერესოა, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია, ქვეყნის ეროვნული ნაკრების პირველ-ორ გასვლით შესარჩევ შეხვედრებში ავსტრიელებთან და პოლონელებთან 4 ქულის აღებას გეგმავდა. აქედან გამომდინარე, ერიქსონის გუნდმა პოლონეთის ნაკრებთან ხვალინდელ მატჩში აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასოციაციის ხელმძღვანელობა ისარგებლებს მთავარ მწვრთნელთან გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტით, რომლის თანახმადაც შვედი სპეციალისტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში მას მიეცემა ის თანხა, რაც 4 წლის განმავლობაში უნდა მიეღო — საუბარია 14 მილიონ ფუნტ სტერლინგზე. თავად ერიქსონი აცხადებს, რომ პოსტის დატოვებას არ აპირებს.

„კონტრაქტი 2008 წლამდეა გაფორმებული. ინგლისის ნაკრებიდან წავალ იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი ვერ მოხვდება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. თუკი, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია თავად დაარღვევს კონტრაქტს, მე მას ერთ ცენტსაც არ ვაპატიებ."

სტრიპტიზისათვის სასჯელი ელის

ლატვია — პორტუგალიის შესარჩევი მატჩის დროს, კერძოდ, 55-ე წუთზე, საფეხბურთო მოედანზე მოულოდნელად გამოვარდა ნახევრადშიშველი ქალი. ის დარბოდა და ხელებს იქნევდა. სამართალდამცავებმა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ შეძლეს თავზეხელაღებული ქალის დაკავება და მოედნიდან გაყვანა. ქალის გამოჩენამ მაყურებლებიც გაამხიარულა, ის კი არა, სტუმართა გუნდის მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარიც იღიმებოდა და ტაშს უკრავდა. მოგვიანებით, 19 წლის გოგონამ, რომელსაც სახელად ლიენე ჰქვია, განაცხადა, რომ აისრულა დიდი ხნის ოცნება, გასულიყო ფართო აუდიტორიის წინაშე ნახევრადშიშველი. თავზეხელაღებულს ელის ჯარიმა 50 ლატის ოდენობით, ანდა პატიმრობა 15 დღით. ეს იყო პირველი შემთხვევა ლატვიური ფეხბურთის ისტორიაში.

სუნიესი — „ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი?

ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა გრემ სუნიესი. 51 წლის შოტლანდიელი სპეციალისტი „ნიუკასლის" თავკაცობის პრეტენდენტია. ზოგიერთი საინფორმაციო საიტის ცნობით, სუნიესი რობსონის ადგილს ოფიციალურად 13 სექტემბერს დაიკავებს.

ანა ჩაკვეტაძე: „საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ"



ჩოგბურთში ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობაზე წარმატებით დაიწყო ასპარეზობა ანა ჩაკვეტაძემ, რომელმაც მეორე წრეში რუსეთის ნომერი პირველი ჩოგანი ანასტასია მისკინა დაამარცხა. 17 წლის ანა ჩაკვეტაძეს რუსული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად თვლიან. მსოფლიოს ჩოგბურთელთა რეიტინგში, აშშ-ის ღია პირველობის დაწყებამდე, ჩაკვეტაძე 175-ე საფეხურზე იმყოფებოდა. ნიუ-იორკში ასეთი ხმაურიანი სენსაციის მოხდენის შემდეგ ცხადია, ის მნიშვნელოვან ნახტომს გააკეთებს. ჩვენი გაზეთის მკითხველებს უთუოდ დააინტერესებთ ანა ჩაკვეტაძის მიერ „გაზეტა-რუ"-სათვის მიცემული ინტერვიუ.

◆ *ამ ტურნირის დაწყებამდე საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევაზე ფიქრობდით. საკვალიფიკაციო ეტაპი კი არა, ძირითად ბადეში წლევანდელი „დიდი სლემის" ტურნირის გამარჯვებულ მისკინას მოუგეთ. რას ფიქრობთ მოვლენების ასეთ განვითარებაზე?*

— სასწაული მოხდა. უნდა ითქვას, რომ მე მისკინა დავამარცხე არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ვთამაშობდი ლაღად, არამედ იმიტომაც, რომ მისკინა ვერ გამოიყურებოდა საუკეთესოდ. მე ბედნიერი ვარ, — ასეთი რანგის ტურნირში გამარჯვების მოპოვება რუსეთის პირველ ჩოგანთან ხუმრობა ხომ არ არის... როცა მატჩი დასრულდა, ვერ ვიჯერებდი საკუთარ გამარჯვებას.

◆ *ჩოგბურთის მოყვარულებმა ბევრი არაფერი იციან შენს შესახებ.*

— მოსკოვში დავიბადე. დედა უკრაინელი მყავს, მამა — ქართველი, თუმცა, საქართველოში არასდროს ვყოფილვარ. 8 წლის ასაკში დავიწყე ჩოგბურთის თამაში. ისე, თავიდან ფორტეპიანოზე დაკვრას ვსწავლობდი. ერთ მშვენიერ დღეს დედამ მკითხა: „ანა, ჩოგბურთზე ხომ არ დაგეწყო სიარული?" მეც სიამოვნებით დავთანხმდი. მიმიყვანეს მოსკოვის „სპარტაკის" საჩოგბურთო სკოლაში, სადაც სწავლობდნენ მისკინა, საფინი... ახლა საჩოგბურთო კლუბ „ვალერიში" ვვარჯიშობ. ეს ახალი, ძალიან კარგი კლუბია, სადაც ასევე ირიცხებიან მისკინა და ბოვინა.

◆ *მშობლები რას საქმიანობენ?*

— დედაჩემი ნატალია დიასახლისია, და დროის დიდ ნაწილს ჩემს პატარა ძმასთან ერთად ატარებს, ჩემს თამაშებს კი ტელევიზორით უცქერის ხოლმე. რაც შეეხება მამაჩემს, ის ბიზნესმენია.

◆ *ვინ არის შენი მწვრთნელი?*

— ამჟამად მწვრთნელი არ მყავს. უბრალოდ, კლუბში ვვარჯიშობ და სულ ეს არის.

. . .

ანა ჩაკვეტაძის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვა ანასტასია მისკინამაც: „ანა ჩაკვეტაძეს ნაკლებად ვიცნობ. ის რუსული ჩოგბურთის ახალი თაობის წარმომადგენელია და უდავოდ დიდი მომავალი აქვს".

P.S. ჩაკვეტაძემ მეოთხე წრეში გასვლა ვერ მოახერხა, რადგან ბერძენ ელენე დანილიდუსთან დამარცხდა 4:6, 2:6.

ბრიუსტერმა ტიტული დაიცვა

ვბო-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა ლეიმონ ბრიუსტერმა ტიტული დაიცვა ახალზელანდიელ მოკრივესთან, კალი მიანისთან შეხვედრაში.

პირველი სამი რაუნდი მიანმა პირწმინდად წააგო, მაგრამ შემდეგ გააქტიურდა და უპირატესობასაც დაეუფლა. მერვე რაუნდში კი ბრიუსტერი კინაღამ ნოკდაუნში გაგზავნა. შესვენებისას, ჩემპიონთან ექიმი მარგარეტ გუდმანი მივიდა. გასინჯვის შემდეგ მან ბრიუსტერს ბრძოლის გაგრძელების ნება დართო. მიღწეული უპირატესობა მიანმა ვერ შეინარჩუნა და ბრძოლა ბრიუსტერთან ქულებით, მინიმალური სხვაობით წააგო.

...და სფინქსმაც

ნახევრად საშუალო წონაში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მორიგი ბრძოლა მოიგო, ამჯერად მიგელ ანხელ გონზალესი დაამარცხა.

მიხაელ შუმახერს ავარია შეემთხვა



„ფორმულა-1"-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ავტოავარიაში მოჰყვა. ეს მოხდა მილანის მახლობლად, ქალაქ მონცას ტრასაზე. შუმახერი „ფერარის" ბოლიდს მართავდა, და როცა საათში 300 კილომეტრის სიჩქარით მიჰქროდა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ბოლიდის უკანა მარცხენა ბორბალი დაზიანდა, რის შედეგადაც, პილოტმა მართვა დაკარგა და მისი მანქანა კედელს შეეჯახა. საბედნიეროდ, მიხაელ შუმახერს ტრავმა არ მიუღია, ის კი არა, იგი ბოლიდიდან დამოუკიდებლად გადავიდა. „ფერარის" ბოლიდი კი ისეა დაზიანებული, რომ ის აღდგენას არ ექვემდებარება.

აშშ-ის ღია პირველობაზე

ჩოგბურთში აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრეში ქალთა შორის მეორე ნომრად განთესილმა ამელი მორესმომ მარია ვენტო-კაბჩი დაამარცხა 6:2, 6:0. პირველ ნომრად განთესილმა ჟიუსტინ ენენ-არდენმა კი 6:4, 6:3 სძლია ლაიზა რეიმონდს. **სხვა შეხვედრები:** ს. უილიამსი — გოლოვინა 7:5, 6:4, სკიავონე — ჰეინსი 6:3, 7:6, შნეიდერი — ჰანტეხოვა 6:4, 4:6, 7:6, კაპრიატი — დუშევინა 6:0, 6:7, 6:3, ზვონარევა — სულუაგა 6:4, 7:5, დევენპორტი — ბოვინა 7:6, 6:2, პირსი — შარაპოვა 4:6, 6:2, 6:3, პეტროვა — ფარინა 4:6, 7:6, 7:6.

ვაჟთა შორის მეოთხე წრეში გავიდა პირველ ნომრად განთესილი როჯე ფედერერი, რომელმაც 6:0, 6:4, 7:6 დაამარცხა ფაბრის სანტორო. ანდრე აგასმა 6:4, 6:2, 6:3 სძლია ირჟი ნოვაკს. **სხვა მატჩები:** ჰენმანი — ტაბარა 4:6, 6:3, 5:7, 6:4, 6:3. სარგსიანი — მატიე 4:6, 4:6, 6:4, 6:2, 7:6, კიფერი — იოჰანსონი 6:4, 6:2, 6:3.



კანადელები – უდანაკარგოდ

ჰოკეიში მსოფლიო თასის გათამაშებაზე ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩები შედგა. „ა" ჯგუფში კანადელმა ჰოკეისტებმა მესამე შეხვედრაც მოიგეს, ამჯერად რუსეთის ნაკრებთან – 3:1. ამ უკანასკნელმა გუშინ თავის მხრივ სლოვაკები დაამარცხა – 5:2.

ჯგუფში 6 ქულით პირველ ადგილზეა კანადის ნაკრები. 4 ქულა დააგროვეს რუსებმა, 2 – ამერიკელებმა, ხოლო ქულაც ვერ აიღო სლოვაკეთის ნაკრებმა.

„ბ" ჯგუფში 5-5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ფინეთისა და შვედეთის ნაკრებებმა. ჩეხებმა 2 ქულა დააგროვეს, რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს, ამ უკანასკნელმა ყველა მატჩი წააგო.

ჟელკო რებრაჩა „კლიპერსში" ითამაშებს

ნბა-ს კლუბ „კლიპერსის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გააფორმა სერბ ცენტრფორვარდ ჟელკო რებრაჩასთან. ეს უკანასკნელი უკვე მესამე წელია, თამაშობს ნბა-ში.

90-იან წლებში რებრაჩა ევროპაში ბრწყინავდა.

2001 წელს რებრაჩა „დეტროიტში" მიიწვიეს, სადაც საშუალოდ მატჩში 6,3 ქულას აგროვებდა და 3,4-ჯერ ხსნიდა ბურთს ფარიდან. მიმდინარე წლის თებერვალში „ატლანტაში" გადავიდა, სადაც მხოლოდ რამდენიმე თვე გაძლო და თავისუფალი აგენტის უფლება მიიღო.

„ვფიქრობ გამოცდილი რებრაჩა სარგებლობას მოუტანს ჩვენს გუნდს", – ამბობს „კლიპერსის" ვიცე-პრეზიდენტი ელჯინ ბეილორი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



7 სექტემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი — „ბორჯომის თასი" (12.15, 14.15, 15.15). *НТВ плюс футбол.* „ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები". მეოთხედფინალები. პერუ — არგენტინა (12.15), მექსიკა — ბრაზილია (17.15), არგენტინა — კოლუმბია (21.35). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: თურქეთი — საქართველო (14.00), პერუ — არგენტინა (19.50). მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვის „სპარტაკი" — „ტტგ-იავა" (16.00); უეფა-ს თასი. მე-2 შესარჩევი რაუნდის მატჩების მიმოხილვა (19.00, 0.00). „ფუტბოლ მუნდიალი" (23.30). კალათბურთი. ნბა (3.00, 5.00). *НТВ плюс спорт.* ჰოკეი. მსოფლიო თასი (10.40, 20.45). ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (13.35). საცხენოსნო სპორტი (19.30). სპორტული ცეკვები. გრან-პრი. პროფესიონალები (0.25). EUROSPORT. სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00). საპლაჟო ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი (13.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია (15.00). ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (16.00, 19.15, 2.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.45).

8 სექტემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასი" (12.15, 14.15, 15.15). იმედი. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი: საქართველო — ალბანეთი. პირდაპირი რეპორტაჟი (20.00, 21.00). *НТВ плюс футбол.* „ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები". მეოთხედფინალი. მექსიკა — ბრაზილია (12.15). ნახევარფინალი: არგენტინა — კოლუმბია (16.30), ნახევარფინალი: ურუგვაი — ბრაზილია (20.50). რუსეთის თასი. მეთექვსმეტედფინალი. „ლოკომოტივი" — „ჩერნომორეცი" (18.55). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ჰოლანდია — ჩეხეთი (22.25). პორტუგალია — ესტონეთი (0.20). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.00). *НТВ плюс спорт.* ჰოკეი. მსოფლიო თასი (10.45, 19.55). ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (13.35). საცხენოსნო სპორტი. რუსეთის ჩემპიონატი (18.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: პოლონეთი — ინგლისი (22.25). ბოსნია და ჰერცოგოვინა — ესპანეთი (0.35). EUROSPORT. სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (13.00, 1.00). საცხენოსნო სპორტი. ერთვნებათა თასი (15.00). ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (19.15), ევროსპორტის ახალი ამბები (3.15).

9 სექტემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. პროგრამა „ასი" (11.30). *НТВ плюс футбол.* ბრაზილიის ჩემპიონატი (12.15, 22.55). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: პორტუგალია — ესტონეთი (14.00), ბოსნია და ჰერცოგოვინა — ესპანეთი (16.00), ჰოლანდია — ჩეხეთი (17.45), პოლონეთი — ინგლისი (20.55). „ფუტბოლ მუნდიალი" (20.25, 1.10). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.00). *НТВ плюс спорт.* ჰოკეი. მსოფლიო თასი (10.45, 21.00). ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (13.35). საცხენოსნო სპორტი. რუსეთის ჩემპიონატი (18.00). „სიჩქარეების მსოფლიო" (0.30). EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (10.30, 13.00). ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (16.00, 19.15). კრივი. პროფესიონალები (23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.00). სპორტის ყოველკვირეული მიმოხილვა (3.15).

ისინბაევას ახალი რეკორდი



ბრიუსელში გაიმართა მძლეოსანთა ოქროს ლიგის გათამაშების ბოლოსწინა ეტაპი, სადაც ორი მსოფლიო რეკორდი დაფიქსირდა. სიმაღლეზე ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა რუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ელენა ისინბაევამ, რომელმაც 4 მეტრი და 92 სანტიმეტრი დასძლია. მეორე რეკორდის ავტორია მორბენალი საიფ საიდ შაჰინი (კატარი), რომელმაც 3000 მეტრზე სტიპლჩეიზში 7 წუთი, 53,63 წამი აჩვენა.

შარაპოვას არ დაუძახეს

რუსეთის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა დაასახელა ის შემადგენლობა, რითაც გუნდი ითამაშებს ფედერაციის თასის ფინალურ ტურნირში. ტარპიშჩევისეული სია ასე გამოიყურება: ანასტასია მისკინა, ვერა ზვონარევა, სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა ლიხოვცევა. როგორც ხედავთ, ტარპიშჩევმა რუსეთის ნაკრების მიღმა დატოვა ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა.

კროსვორდი №71

თარაზულად: 1. მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი, მცველი, 3. უეფას თასზე თბილისის „დინამოს" წლევანდელი მეტოქე, 6. საფარიკაო იარაღი, 8. სამაგიდო თამაში, 9. „ინტერის" ფეხბურთელი, 10. წარსულში ცნობილი ესტონელი ძალოსანი, 13. აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ოსტატობის განმსაზღვრელი ტერმინი, 14. „ბაიერნის" ცნობილი ფეხბურთელი, 17. ქართველი დიდოსტატი ვაჟი ჭადრაკში, 22. ცნობილი თურქი მოჭიდავე, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს (1954 წლის) ჩემპიონი, 24. ტანვარჯიშული იარაღი, 25. ერთი ხელი თამაში ჭადრაკში, 26 ნარნარი ფრენა, 27. აშშ-ის ფეხბურთელი.

შვეულად: 1. ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი, მეკარე, 2. ცხენი, ბედაური..., 4. ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 5. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 7. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 11. ნელი ქარი, 12. ცნობილი რუსი ილუზიონისტი, 15. წარსულში ცნობილი ზუგდიდელი მოჭადრაკე ქალი, 16. ფეხბურთში თერთმეტმეტრიანი დარტყმა, 18. ჰოლანდიური ფეხბურთის ვარსკვლავი გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, 19. რაიონი დასავლეთ საქართველოში, 20. ცურვის ყიდა, 21. კრივის სარბიელი, 23. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.



№70 კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ბა, 9. ხიზანეიშვილი, 10. იუნიორი, 11. რატი, 13. ატაცი, 15. ოში, 17. „კროკო", 18. „სელტა", 19. „ბაიერნი", 24. იენა, 25. სპა, 26. რისკი, 27. კაირო.

შვეულად: 1. ახმილოვსკაია, 2. უზანგი, 3. „ანკონა", 4. ფილია, 5. „ავაზა", 6. ქლორი, 8. „აეკი", 12. ტრეკი, 14. ცაკარიასი, 16. უტევანი, 19. „ბასკო", 20. ისარი, 21. ინსი, 22. „პარმა".

საჭადრაკო ამოცანა

გ. დიადჩენკო
(1973 წ.)



შამათი 2 სვლაში

№70-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლa2! მუქარა 2. ლd5X, 1. .... კb3, 2. ლe2X, 1. .... კc3, 2. მf2X, 1. .... კ:f3, 2. ლc2X, 1. .... b4, 2. ლc4X



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru